

р-76.



8040 59 433.

ЭКСПО

№ 16-17

შინაარსი:

1. სანდრო შანშიაშვილი: ჰიმნი გლეხს
2. ** მჭედელი, პროზა ფრანგულიდან
3. ვ. გაფრინდაშვილი: ლექსი
4. სერგო ვორგაძე: — ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი ლექსები.
5. ვ. გაფრინდაშვილი: წერილი ნ. ბარათაშვილზე.
6. არსენა, ხალხური პოემა დასურათებული
7. ალ. არსენიშვილი: ანატოლ ფრანსი, ა. ჩ--ისა.
8. ნიორკის სურათები, ა. ა--სი.
9. კოლაუ ნადირაძე: ლექსი.
10. სოსიკო მელაქიშვილი: ა. ყაზბეგის გამო მოგონება.
11. სიმღერა ერთგულ ამხანაგებზე, — იანშერისა.
12. პაოლო ბუციის ლექსები
13. სპარტაკი — ტანთვარჯიშის მიმოხილვა.
14. ჩ--ი: წერილი მხატვარ ვანო ხოჯაბეგოვზე.
15. ბაკუნინი: — „Бедня“-ის შესახებ.
16. შ. რადიანი: ჟოჯო დუამელ
17. ბიბლიოგრაფია: მ. ჯავახიშვილი.
18. ნახატები: ალ. ციმაკურიძის, ე. ხოჯაბეგოვის, აპოლ. ქუთათელაძის, დ. ქუთათელაძის, პორტრეტები და ილიუსტრაციები.

მ რ ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

მ რ ქ ა ლ ა ქ ე ნ ი!

**თქვენი ჯანფრთალოვის ინტეკასი
მოითხოვს, სვათი მხოლოდ
მ. ლ ა ლ ი კ ი ს**

საუკეთესო, ხელოვნურად მოგზადებული ხილულის საფუარნალო
წყლები, რომელიც მოზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული, ხილე-
ულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უფარესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

მგაღნე და დასკოფენეული სპეციალისტებას მუდმივი ზედამხედველობათ, ამატამ
ლალიკის წუდი სრულად უფენეულაა ჯანმრთელობისთვის და თანაც გემა და სუნა საფურა: ქქს.

მ. ლალიკის ფირმა პასუნსიმეგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რო-

მელიც შექმნილი იქნევა ბირდაბირ ქარხნიდან ანუ მის საკუთარს განყოფილებიდან-

მ რ ქ ა ლ ა ქ ე ნ ი

რ-76.

148

ს რ ი მ ბ

ო რ ა კ ვ ი რ ი უ ლ ი ს ა მ ხ ა ბ ვ რ უ - ს ა ლ ი ბ მ რ ა ბ უ რ უ ლ შ უ რ ნ ა ლ ი

განცხადების ტარიფი:

ხელის მოწერა:

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის პრ. № 22.

ერთი გვრდი 100 მ.
ნახევარი გვრდი 50 მ.
მეოთხედი გვრდი 35 მ.


საში თვით 1 შან. 20 კ.
ერთი თვით — 40 კ.
ცალკე ნთქური ყვულტან 20 კ.

კონტორის მისამართი:
განათლების სახ. კომისარიატი. სახელ-
გამი. ლორის-მელიქის ქ. № 5.
მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.

№ 16 17

პარაკეზი, 25 ივლისი 1924 წ.

№ 16 17



ვ. ა. ლ ა შ კ ა რ ა ს კ ი
ტფილისში ყოფნის გამო.



ჰიმნი გლეხს.

1

მიწას ჩაჰკერია თავის გულმკერდით.
 იმაე მიწიდან მძლავრის ფესვებით ის აღმოზარდილა!
 ვინ ამოუდგა სუსტი მას გვერდით?—
 ყველა დაჯაბნა, ყველა დაჩილილა!
 უღელს გაუწევს მას მხოლოდ მსგავსი, მისივე ფანდი.
 როგორც ფოლადი, ის მაგარია!
 მას რა გაუძლებს, თუ კი საქმეში ხელი დარია?
 ხალისიანობს მხნე, მუდამ მარდი.
 არა აქვს დარდი!

გამოსულია, ვით ლორი, ბოლში!
 როს სამუშაოდ მინდვრად ის გადის,
 ემზადებოდეს თითქოს დიდს ომში.
 სახეს, ცხრაკეცად დანაოჭებულს, ჩამოსდის ოფლი.
 —მიწაჲ! ხარ ჩემი, მაინც არ მყოფნი!
 არა ჩერდება. მზე აქერს მის ტანს!
 სანამ სეეს კიდევ ერთს არ გაიტანს,
 ის არ გაუშვებს ხელიდან ბარს...
 კიდევ ამოჰგლეჯს ეკალს და ნარს.
 ის სამუშაოს არ უშინდება!
 როს შესკვამს ნაწილს? როს მოვივლება?
 აუშფოთებლად სცემს, სჩეხავს კორახს.
 კლერტს გადაისერის მიწის პარაზიტს.
 გულში ლილინებს: გაფიცებთ ოჯახს,
 მიწას არ დაესთმობ, მიწას—არას გზით!
 მის გასაწმენდად და გასაჩეხად
 ბევრი ვიწვალე...
 ვინ შემეცილოს? დავეცე მეხად!
 ქალაქს დავურჩი; იმას ჩაქუჩი, მანქანა, ჩარხი!
 შე აქ—უიწალი!
 ბარი ნამგალი... სარწყავად არხი!
 მჭრელი გუთანნი!
 ტოლი მყევარი, ხარი მსუქანი!
 რომ თავის ტყავში თითო მათგანი
 ვერ ეტეოდეს!—
 უღელს მიმტრეცდნენ. თელს გატუსულს!
 თუ იმ დროს მნახავთ გლახად ატუზულს,—
 გითხრა ნამდვილი:
 თავზე დამხურეთ ქალის მანდილი!
 ბიჭი არ ვიყო მე ავთანდილი!
 შერცხეცს ჯაბანი,
 თუ ვერ მხნეობდეს!
 ლუქმას სხვას სთხოვდეს, კერას აქრობდეს!
 თვით ვერ ნაგრობდეს—და ვერც ღრეობდეს!
 რკებს დავუკონი ნიშას, ნიკორას!
 გავაფხვიერებ ბელტოს, იქ კორახს!...
 თვალს დავუყენებ მოშურნე ზარმაცს!
 ქება სთქვას ჩემი განთიადისას ტოროლას ზარმაცს!

2

ჯერ კიდევ სისხამ-ღილით ამდგარა,
 დაუბანია წყაროზე პირი;
 სამს შუბის ტარზე მზე გადმომდგარა,
 მოუქებნია მას მუხის ძირი—

ჰშონ მგელრით! აქეს ხმელი პური
 და შესატანად ნიორი მჭირი.

სკამს მაღიანად დაობეზუოს, დიდის ხნის ხმადს;
 თითქოს მშიერი შეექცეოდეს შემწვარს სუქს ცვიანს.

—ახ! ერთი კახა წითელი ღვინო!?

მაგრამ ღვინო კი არ სჩანს ხელადით!
 ეენახს ჰბარავდეს, მისი წვენი კი თითონ არ ჰქონდეს?

მერე რა შევებით, ერთის გადაკვრით,

გამწვრალს ყელს იგი გაისველებდა!

შავის გრილოს ქვეშ დაისვენებდა!

დიდის რძესავით მას შვირგებდა!

ნაყიერს საჭმელს არ ინატრებდა!

მკლავი შეახმეს

მსუნავს მევახშეს!

არ ანებებდა! იცის, იმდენი არც ერგებოდა!

ქვევრი და ქოცო ამოუწურა!

ის თავანკარა: ლალი და ქარვა

მას დაუფულა და დაუწუნა!

მის ეშმაკობას განა ვერ მიხვდა?

ძალამ კი არა—ხათრმა გატეხა!

დავიდარაბა აღარ ასტეხა!

—ახ, ცოტა ღვინო რომ ჰქონდეს ცხლა!?

მაშინ გენახათ იმ შავს მიწასთან ომი და შეხლა!

ხმელს პურს და ნიორს აყოლებს წყაროს...

ამბობს: არამი ნუ მომხმაროს!

ნურც მე, ნურც ჩემს მტერს...

—ნურავის! ნურც ერთს!

ოხ, ვინ მოითმენს ნეტავი ჩემდენს!

და არ ამოფხვრის ბოროტის ჩამდენს?

ქვეყანას ვაწვედი პურსა და ღვინოს!

ჩემის ნაშრომით ბევრი სხვა ლხინობს,

მაგრამ ჯანდაბას!..

გავადლობ სოფელს, ქალაქსა, დაბას!

კიდევ შევიძინე ალაღ მარჯვენით!—

სამოთხეს შეექმნით, თუ კი ყველანი გავისარჯენით!...

და მაინც ზრუნავს დაღამებამდე... ბარსა სცემს მიწას!

შუბლი ექმუხვინის: რას ფიქრობს იმ წამს?

ოფლი ჩამოსდის... ოფლში ღლინებს!..

თვის ნამუშევარს თვალს გადაავლებს და გაილიმებს!

3

ორს ბარის პირზე მან ნიადავი გადააბრუნა.

კარგი ამინდიც ზეცამ არგუნა!

როგორც ვაჟიშვილს დაჰხარის ვენახს.

იქ სარს ჩასჩეკავს, ხოლო აქ მერქანს.

ლობეს ამაგრებს და მავთულს აბამს.

შეაყრის გოგირდს და შაბიამანს!

ძურწას ამოჰვლეჯს, კლერტს გადაავლებს,

ზედმეტს რქას აცლის, ვაზს არას აენებს,

თუ არას არგებს!...

მორჩება ვენახს. სამკალში მიდის და ერჩის გულიც.

ნამგალი ელავს. მარდათ ჰკრავს ულოს;

ძნას ძნაზე აწყობს და ათეულიც

ჰსურს საღამომდე ცხრა შესარულოს!

შუბლზე წაუყრავს საგრილობელი,

ტრიალებს, წელში არ იმართება;

როს გახურდება ჯანის მფლობელი,

მხოლოდ მაშინ თუ დაიკვალთება.



ძმრიან წყალს დაჰლევს! ძმარში პურს ჩაჰყრის,
და სადმე ჯაგთან ერთს წუთს მუხლს ჩაჰხრის!

4

თავის სიცოცხლეს ცისქვეშ ატარებს...
როგორც თვით არის, ისევე დაზღის შეილებს პატარებს.
ხან თუ სწვავს სიტყვ, ხან ყინვა აზრობს;
მის რკინის მკლავებს ვერა-რა აწენებს, საღ შეიფარებს?
ყველას იგერებს, ყველაფერს ასწრობს!
ყველაც მას ებრძვის თვით ბუნებაში, რომელს ერთს მოეთელი?
გვაღვა, სიცივე, თავგი, კალია;
და თუ გაცივდა სადმე ნაოფლი, —
იმის ოჯახში ცოლო-მრალია!...
ასში ხუთია გლეხის გარეშე
ამ სოფლის ფართე არემარეში!
როს მიიბიჯებს, თვითვე ჰკრძნობს ძალას!
აზრობს და ფრთხილობს, თან ერიდება სხვის ხათაბალას!
იტყვის და სიტყვას აღარ გარდასთქვამს!
დასახულ მიზანს ჯერ გულში ჰმარხავს.
იგი მტკიცეა, ოდეს იზრახავს.
ბევრი უნახავს, მას განუტღია, კიდევ ბევრს ჰნახავს!
შრომა და ჯაფა მისი ხეიდრია!
უსამართლოსთან მუდამ მკვეთრია!
მას არ დაზოგავს და შეაგინებს.
ის შეინძრევა გოლიათივით, ამოგმინებს.
და თუ გამწვარდა, გაანადგურებს
ტაძრებს, საღგურებს,
განცხრომის ჰინებს,
დალენწავს სკიპტრას, და ციხის რკინებს!
რა შეაშინებს?
და რასაც ერთ დროს თვით ამაგრებდა
და არ ანგრევდა —
მტვრად გარდააქცევს,
რა შეიმაგრებს,
თუ ასწვევს აფრებს?
მაგრამ მას უყვარს ცხოვრება მშვიდი,
რომ ააშენოს და გასლოს ხილი!
— გლეხისა გჰმონდეთ კრძალვა და რილი!

5

მას თავისუფალს სძულს მუქთა-ხორა.
თვით პირუტყვიც კი მან თავისთავთან ათანასწორა!
თავის მსგავს რისთვის დაეჩაგვრინოს?
მოკვდეს ვაჟკაცი, იყოს ცვედანი,
თავისი ოფლი თუ სხვას შეიარგოს,
ან შეარჩინოს!
თუ არ ცხვირიდან წამოადინოს!
მიწა! კვლავ მიწა საასპარუოდ!
ყველას ეყოფა სახნავად, ეზოდ!
აი, ეს ბურთი და მოედანი!
მოკვდეს ვაჟკაცი! იყოს ცვედანი,
ვინც ვის ჩამორჩეს, დაეჩაგვრინოს!!
როგორც ფუტკარი, ნაყოფს აგროვებს;
ირჯება. ითმენს. მტერსაც აღროვებს.
შურსაც იძიებს და მოივლოვებს.
ის მუდამ არის როგორც მცენარე;
მას მზე წარმოშობს, რომ აღარც იყოს!
გლეხი პატრონი თავის მიწისა

მიწამ მიიღოს და მიწამ რიყოს
 და გაუთხაროს მანვე სამარე!
 ერთხელ დაჯდება,
 როცა მაჭრდებდა
 და ლურჯ სუფრაზე გააძღობს მშვიერს;
 ჯამს წამოაღლებს დაკოტირის ხელებს,
 და ილღვრძელებს:
 ცის ნამს და ველებს,
 ხარის ქედს ძლიერს,
 მიწის მოსავალს, კაცის მარჯვენას,
 გლეხის ქომავსა და მის დამცველებს!

6

არ მოისვენებს გარუტლული, მზეში დამწვარი.
 შრომობს—ლიღინებს; დარდი აქვს და მიინც ლიღინებს;
 სარჩო მოზიდა: ბედნიერი სხვა ვინღა არი?
 დღეს მხიარულობს, იღიმება, კვლავ გაიღიმებს!
 რამდენს ღმერთს ძეგლი აუშენა და დაუშვენა?!
 ყოფილა უღეთო, კვლავ წარმართი და ქრისტიანი.
 თავის შექმნილი დაუმხია,—არ ჩივის ზიანს—
 დღეს თვითონ არის მხოლოდ ღმერთი—ადამიანი!
 ბუნების შვილი ისევ შერჩა ბუნების წიაღს!

7.


სდგას ნიადაგზე!—
 ის ხომ ყველას ნიადაგია?
 ქალაქში ჰგზავნის თავის შვილებს ქარხნის დაზგაზე.
 მათ ასპობინებს, ვინც კი ქვეყნად მეტი ბარგია!
 ამღერებს ჩანგზე რჩეულს მეოსნებს გარდღეულს ჰანგზე!
 ჰქმნის დიდს ეპოქებს, მთავარსარდლებს, სრა-სასახლეებს.
 შენიც მისია და თავისიც! ყველას ხელს ახლებს,
 სულ თვისკენ მიაქვს, რაც ამ ქვეყნად მოუტანია!
 და თუ ჩასთვლიმა, თავის თავსა კვლავ განაახლებს!
 მაგარს ხერხემალს და ზურგს რა არ გარდღუტანია?!

სანდრო შანშიაშვილი.

თიბათვე

ქიზიყი. წისქვილი.

დაჯაბნა—აჯობა.
 სვე—ნამუშევარის ერთი წყება, ანუ კვალი.
 ნაწილი—საუზმე.
 კორაზი—გამამარი ბელტი.
 ქალაქს დაფურჩი—ერთგული მამყოფა.
 მყევარი—ორი წყვილი საკანელი.
 სისხამ-დილით—ძალიან ადრე, უთენებლივ.
 ულო—მნის შესაკრავი ძირში მოგლეჯილი ყანა.
 ათეული—ათი შეკრული მწა ერთად დაწყობილი.
 ხშიადი—სახედახელოდ ცეცხლში გამოცხვარი პური.
 კაობა—ხის სასმისი.
 ქოცო—პატარა ქვევრი.
 ჩასტყავს—გაუმწვეტებს.
 ძურწა—მცენარე.
 კლერტი—ალაფის ძირკვები.
 ცდევანი—უძღვრი.



მარტის საფლავი ლონდონის ჩრდილო მხარეს.

მჭედელი.

ის იყო მალალი; ყველაზე მალალი იმ არე-მარეში მხარ-ბეჭ განიერი, სახე და ხელები გამურული. მის ოთხ-კუთხოვან შუბლ ქვეშ, ფაფარივით ზშირი თმის ქვემოთ ბრწყინავდენ დიდი, ბავშური ცისფერი თვალები ისეთივე, როგორც ელვარე ფოლადი. როცა ის ხელებს მალა ასწევდა კმაყოფილის ძლიერების იერით,— ეს იყო ხელების ისეთი შერბევა, რომელსაც მიაჩეია გრდემლზე მუშაობამ,— გვეგონებოდათ, რომ ის თავის ორმოცდაათ წელს კიდევ უფრო მზიარულად ზიდავს, ვიდრე სწევს უფრო ოცდახუთ გირვანქიანს.

მთელი წელიწადი მჭედელთან დაეყავ. ეს იყო წელი ჩემი გამომართვების. დავკარგე გული, ვიწემა და წავედი ოთხივე მხარეზე საკუთარ თავის საძებნელად, რომ მომეჩინა შრომის მყუდრო თავშესაფარი და აღმედგინა დაცარგული მშენიბა.

ერთხელ, საღამოს, გზათ სოფელზე გავლით, მე შევამჩნიე განმარტოებელი, გზის ჯვარედინზე მდგარი, ცეცხლით განათებული სამჭედლო. მასში ისეთი ლაღლადი გაჭინდა ცეცხლს, რომ ფართოდ გაღებულ კარებიდან გამოვარდნილი შუქი თითქოს ხანძარივს ნთქავედა მთელ გზა-ჯვარედინს. პირდაპირ, მდინარის პირზე ჩამწყრივე-ბული ვერხვების რიგი იკვამლებოდა, როგორც ჟინელი-ლების წყმა. შორიდან, წყნარ ბინდ-ბუნდში, მოთოხარიკე ცხენოსან ასეულების მოახლოების მსგავსად, ჩაქუთია მწყობრი ცემისაგან ისმოდა რკა სამი ოთხი ვერსის მანძილზე. გაეგებულ კარების ახლო, უხვად მოფენილ სინათლესა და ხმაურობაში, ამ გრავინებასა და ქექა-ქუხილში

მე გაეგრძელე უკვე სრულიად დამშვიდებული და ბედნიერი ასეთი მუშაობის სანახაობით, ამ აღამიანის ხელების დანახვით, რომელი ხელებიც გრვებდენ და ასწორებდენ გაეარავარებულ რკინას.

ამ შემოდგომის ღამეში ვიხილე მჭედელი პირველად. საყვლო გახსნილ პერანგიდან უჩანდა ძლიერი მკერდი, რომელზედაც ყოველ ამოსუნთქვის დროს ისახებოდა თითქოს ნაცად რკინისაგან გამოკვეთილი გვერდის ნეკნები. ის უკან გაღიხებოდა, გააქანებდა ხელს და სცემდა ჩაქუქს შეუჩერებლად, ტანის მოქნილ და განუწყვეტელ რხევით, კუნთების დაუზოგველ დაქიმივით.

ჩაქუჩი სწორ წრეს ავლებდა პერში, ჰეანტავდა ნაპერწკლებს და სტოვებდა ელვის ხაზს. ეს იყო ურო, რომელიც მას ორივე ხელით ეპყრა. მის ყოჩაღ ვაიშვოს ამ დროს გაეარავარებული რკინა მარწუხების ბოლოებით ექირა და თავის მხრივაც სცემდა ჩაქუქს, რომელიც აყრუებდა მოხუცი მთერ ვაჩაღებულ საშინელ ურის ცეკვას.

ტოკ-ტოკ, ტოკ-ტოკ,— ეს წაავგავდა დიდის გამამხნეველ ხმას, რომლითაც აქეზებს ბავშვის პირველ ტიტინს. ურო თითქოს ვალსის თამაშში იყო გართული, მას ტანთ ნაპერწკლებს ბრწყინვალე სამოსი ეცვა და გამაღებთ სცემდა ქუსლებს, თავის დაღს აჩენდენ ბარ საკეთელს.

სისხლის-ფერი ალი სწევებოდა მიწას: ანათებდა ორ შუშის კუთხოვან ფიგურას, რომელთა ლანდები თრთოლავდენ და გადადიოდენ სამჭედლოს ბნელ და პირქუშ კუნჭულებში. ხანძარი ნელ-ნელა ჩაჭრა, მჭედელი შეჩერდა. ის იღვა მთლად გამურული, ჩაქუჩის ტარზე დაყრდნო-



ბილი. შებლიდან ჩამოღვარულ ოფლსაც კი არ იწმენდა. მესამა მღელვარე მკერდის სუნთქვა, რომელიც უწინდებოდა მისი ვაჟის მიერ ამოძრავებულ საბურვლის ქვეშეა.

იმ დამეს დავებინავდი მკვდელთან და შემდეგ აღარ-სად წაუშლავარ. მას ჰქონდა თავისუფალი ოთახი ზევით, სამკვდლოს თავზე, ეს ოთახი შემომთავაზა და მეც სიამოვნებით დაეთანხმე. დილის ხუთი საათიდან მეც მკვდლის საქმეში ვებმობი. მელიქიმბოდა ყაყინსა და სიცილიში, რომლითაც მხნეობდა მკვდლის ოჯახი და დაღამებამდის არ სწყვეტდა მუშაობის ხალისსა და მხიარულებას. დაბ-და, ჩემს ქვევით ჩაქუჩი ცეკავდა. უოო თითქოს საწო-ლიდან მავლებდა და ქერში კაკუნით დასცილიდა ჩემს სიზარმაცეს: პატარა ღარიბი ოთახი თავისი დიდი შკაფით, ხის მაგილით და ორი სკამით სულერთიან ქანაზად და თითქოს მჩაქარებდა. მეც დაბლა ჩამოვდილიდი. ძირს სამ-ქელო უყვი გაღებული მხედვობდა. საბურველს გუფუნო გაკჭნოდა. მწვანე და ვარდისფერი ალი ასდიოდა ნახშირს, რომელიც ქარის ბერვით გაჩაღებული იეს იწინწყლებო-და, როგორც ვარსკვლავთა რკინული. მკვდელი კუთხეებში ჩბრკდა რკინულს, ატრიალებდა სახნისებს, ათავაიერებ-და თვლებს. ჩემს დანახვაზე ეს ღირსეული ადაბიანი შემოიყრიდა დიონეჯს და იცინებდა, იცინებდა ყურებამდის პირავებულნი. მის ამხიარულებდა ის, რომ მამიძულა ხუთ საათზე და ავმდვარიაყე. დილით ის უთკაუნებდა მისთვის, რომ ეხმაურა, რომ თავის ჩაქუჩთა საშინელი რეკვით ჩამოეყრა ვალიძებებს ზარი. ის თავის და ხელებს მხრებ-ზე დამადებდა, დაიხრებოდა თითქოს ბავშვს ელაპარაკე-ბო და მტკობდა: დიდათ გამოძკეთიდი მას შემდეგ რაც-ხან რკინასთან სცხოვრობ. ჩვენ ყოველ დღე ჩამოვსდენ-ბოდიით ვადარბუნებულ ურმის ბოლოზე და ერთად ვესამ-ლით თერთ ღვინოს.

შემდეგ მთელს დღეებს სამკვდლოში ვატარებდი. განსაკუთრებით ზამთრობით წვიმიან დღეებში. ვიხებო-ბოდი მუშოობით. ეს განუწყვეტელი ბრძოლა მკვდლისა დაღუშუავევლ რკინასთან, რომელსაც ის ჰყვოდა თავის სურვილებისამებრ, მაკაუნებდა. თვალს ვადევნებდი გრდემლ-ზე დაღებულ ლითონს და მუდამ განცვიფრებული ვუმზერ-დი, თუ როგორ იღუნებოდა, გრძელდებოდა, ეხვიოდა როგორც სათილი, მუშის ძლევა მოსილების ზეგავლენით: როცა სახნისის ქვედა დასრულდა, მის ახლოს და-ვიხიარე და დაღუწყე თვალეირება. ვიღარ ვცნობდი მის გუმწინდელ უფრომო კონტურებს; ვაკვირდებოდი მის ნა-წილებს და ვავივიქრებდი თითქოს ძლიერმა თითებმა ჩამოაქნეს და მიანიჭეს მას ასეთი ფორმა ცეცხლის დაუ-მხარებლად. ხანდახან ვილიმებოდი ხოლომე ერთი ახალგა-ზრდა ქალის მოვარებით, რომელსაც ერთ დროს მიელი დღეები ვებდავი ჩემს პირდაპირ მუერს სახლის ფანჯა-რის: თავისი სუსტი ხელებით ახვივდა ის თიბირის მავ-თულს, რომელზედაც აბრეშუმის ძაფით აბამდა ხელოვ-ნურ ყვავილებს.

მკვდელი ბედს არ უწიოდა. თითხმებუტ საათის გან-მეგობაში რკინის ქედვის შემდეგ საღამოობით იცინო-და და მუდამ მხიარული იყო, თან კმაყოფილის სახით ხელბს იმშუშობდა. ვერალოდეს მას მოწყურის ან დაქან-ხელს ვერ ნახავდი. მას შეეძლო თავის მძლე ბუბუბით შეეკავებია სახლი, თუ ის დანგრევას დააპირებდა. ზამ-თრობით ის ამბობდა, რომ მის სამკვდლოში ყოფნის არა-

ფერი სჯობია, ზაფხულობით კი ვანიერთა დაღებდა ქა-რებს და შუეშებდა ბალახის სურნელებს. ზაფხულის დამდეგს, საღამოობით მივიდილი და მის გვერდით ქა-რებთან ჩამოვფრებობი. ეს იყო ერთ მაღალ სერზე. იქი-დან მოსჩანდა ფართოდ ვაშლილი ხეობა.

სტკებოდა იმ უზარმაზარ ხლიჩის სანახაობით, რომელსაც წარმოადგენდა მთლად დახსული მიწა და რო-მელიც იკარგებოდა შორს პორიზონტის ცისფერ ბინდ-ბუნდში.

მკვდელი ხშირად ხუმრობის გუნებაზე იყო. ამბო-და. ყველა ეს მიწები მის საკუთრებას შეადგენს, რომ უყვი მრავალი წელიწადია, რაც მისი სამკვდლო აწვიდს გუთუნებს მიელ იმ არე-მარეს. ეს იყო მისი საამაყო. თუ ველი მისში მწვანედ აბიბინდებოდა, ხოლო ივლისის თვეში ოქოისფერად, მისი მეოხებდა. მკვდელს უფროსა მისავალი, როგორც თვისი ასული, აფროთვანებას მიეცე-მოდა კარგი ამინდის გამო და შრისხანედ მუშეს უღერებ-და სტკევის წარმომავან ღრუბლებს. ხშირად ის დამანახ-ებდა ხოლომე შორს, მიწის რომელიღაც ნაწიქს, და მო-მიყვიებოდა, რომელ წელში გამოსქვდა მან გუთანი ქერით თუ პურით დათვლის ამ პატარა ნაქერ მიწისთვის. იმ დროს, როცა მინდვრებში ხნავდა, ის ჩაქუჩს გადასდებ-და და გამოვიცოდა ვარედ, გზაში: მუბლზე ხელებს მიი-ფარებდა და გაკურებდა. ის უყურებდა, თუ მისგან გა-კეთებულ გუთნებით მრავალ რიცხოვანი ოჯახი როგორ სერავდა და ვხვნიდა მიწას, მარჯვნივ და მარცხნივ აე-ლებდა ღრმა კვალს. მიელი ველი გუთნებით იყო მოფე-ნილი. დინჯათ ამოძრავებელი მიწის იარაღები მიხვალ ასულელებს ჰვადენ, გუთნათ მისივეთილი მიზევ ვერცხ-ლის ფრად ბრწყინავდენ. ის კი ხელს მაღლა სწევდა, მი-ყვიროდა და მეხებდა, რომ მიესულიყე და დამენახა თუ როგორ აწყვეულ მუშაობას ეწეოდა.

ეს მკვებურ რკინა, რომელსაც ღლარუნი ვაკჭნოდა ჩემს ქვევით, რკინის ძალონეს ჰმატებდა ჩემს ძარღვებს. ეს უკეთ მოქმედებდა ჩემზე, ვიდრე აფთიაქის აბები. მე მივიგეფ ამ ხმაურს და ხშირათ იმისთვის, რათა ვაეგო, რომ მე ცეცხლბოდი, მიმწყურდებოდა გრდემლზე მო-არაკაკე ჩაქუჩთა მუსიქის მოსენვა. საბურვლის ქშენით ვაცოცხლებულმა კვლავ ვიოეე ჩემი საბარლო თავი. ტუკ-ტუკ-ტუკ-ტუკ-თითქოს მზიარული მიაატნიყო ისტუმრებ-და მუშაობის საათებს. როცა მესმოდა ვაშმაგებულ ჩაქუ-ცემაში ვახურებულ რკინის ტუკა-ტუკუტი, ვგრძნობდი გვიგანტიორ ძალას ხელებზე და მზად ვიყავ მიელი სამე-ყარო დამეფინავდა ჩემი ვაჟობის ძლიერი დაკვრით. შემდეგ როცა სამკვდლოში სიოუმე ჩამოვარდა, ჩემს ტვინშიაც ყველაფერი წაყრდებოდა.

ოხ, რა წაუტოვო შესახედავი იყო მკვდელი სი-ცხიან დღეებში! ქანაზს ზევით შიშვლი, ამოყრილი, მრგვა-ლი, დაჭიბული კუნთებით, ის ემგზავსებოდა მიქელ ან-ჯელოს მიერ ემთხილი უყვდა და დიდებულ ფიგურას შორის ერთ ერთ მათგანს, რომელიც აუტანელ სიმძიმის დაძლევის შემდეგ წელში იმართებდა. როდესაც მას ფე-ტქერი, ვმოულობდი ქანდაკების იმ ახალ ძარღვს თუ ხაზს, რომელსაც ღიღის ვაკვირვებით ეძებენ ჩვენი არტე-სტები საბერანტის მკვდარ სხეულებში. ის მოსჩანდა შრომით განაკაცებულ და ამაღლებულ გვირათ, ამ საუ-კუნის ჯანგაფუტხელ და დაუღალავ შვილათ, რომელიც



განუწყვეტილ სცემს გრდემლზე ჩვენი ანალიზის კვირს, რომელიც სკედავს ცეცხლში მომავლის საზოგადოებას.

მას უყვარდა ჩაქუჩითა თამაში, სახუმაროთ და გასართობათ ის აიღებდა ხოლმე უროს და ხელის ძლიერი გაშლანებით დასცემდა გრდემლს. ამ დროს ქურის ვარდისფერ ალით განათებულ სამკელლოს გაჰქონდა

გარკინვა და ზანზარი, მე მეჩვენებოდა, თითქოს მასში იმოღა მთელი მშრომელი ხალხის ოხვრა.

და აქ სამკედლოში, გუთნებს შორის, მე სასევბით განვიკურენ სიზარმაცის და იკვების სენისაგან.

თარგ: ვლ. გიორგოზიანის.

ნატალინის დედოფალი.

გარდერობიდან იგი გამოდის.
როგორც მარაოს აისერის ხელებს.
მას უყვარს უჯრა ჩემი კამოდის
და შიგ დაიქებს ზამთრის ჩურჩხელებს.

ის ჩემს ოთახში დადის უაზროთ.
თავის ყოფნაში მან დამაჯერა.
მაგრამ დამალვა კიდევ მოასწრო,
როს დევაიბრე მისი დაქერა.

ჩემი ოთახის მას ბინდი უყვარს...
სხვაგან ჩემსაივით არ მოეღიან.
უკანასკნელად მე აღარ ვუუხვარ,
რომ ჩემი ბინა ასე ბნელია...

მკვდარ დედოფლების კაბებს ატარებს.
უხდება მთვარის პირსაბურავი.
მაგრამ მაღონას ნუ შეადარებს
მის ათრთოლებულ რწმენით ნურავინ.

ის ცბიერია, თუ ჩავიკეტე,
მინც მეწვევა მაღალ სურნელით,
ის ჩემს ყელსახვევს ხშირად იკეთებს
და არის ქურდი განუკურნელი.

ის მევედრება როგორც მთხოველი:
ო, ნატალინის მეუფე გახდი!
და ყალბი თოვლით მოოქროვილი—
გაიზიარე შენ ჩემი ტახტი!

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ახლად ალმოჩანილი ქრისტოგათია და ნ. ბარა-თაშვილის სკოლის ლექსები.*

ახლად ალმოჩანილი ქრისტოგათია.

ძველი ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების გარჩევის დროს, რომელნიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადმოეცა მთავრობის მიერ ე. თაყაიშვილის ბიბლიოთეკასთან ერთად, ჩვენ წაგაწყვდი ერთ საინტერესო რვეულს, რომელიც ლე-

ქსების კრებული აღმოჩნდა. ეს რვეული ამჟამად საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის საკუთრებას შეადგენს და ჩაწერილია ხელნაწერთა განყოფილებაში № 2684-ით.

ტექსტი გადაწერილია მოთეთრო სქელ ქილაღებზე (ზომით 20,5x17 სანტიმეტრი), რომელსაც წელიწადი ნიშანთა შორის უზის წელიწადი „1833“ ნაწერის ხელი მეტად ღამაზია და რამდენადმე ნ. ბარათაშვილის ხელს მოგვაგონებს, თუმცა იგივეობის დამტკიცება საძნელოა: ამგვარი ხელი წარსული საუკუნის 30-იანი წლების სხვა ხელნაწერებშიც

* წაითხულია მოხსენებად „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“ 1924 წლის 7 ივნისის სხდომაზე.

გვებდება.* ტექსტი გადაწერილია შავი მელნით, რომელიც საკმაოდ კარგადაა შენახული (მხოლოდ ოდნე ემჩნევა გადახუნება). იმავე მელნით რვეულის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრებით), საიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველად რვეულში 22 ფურცელი ყოფილა; მაგრამ დღეს მას შუაში ორი ფურცელი აკლია, სახელდობრ მე-11-ე და მე-12-ე, რის გამოც მე-10-ე ფურცელს ახლა იქ უშუალოდ მოსდევს მე-13-ე ფურცელი, რომელზედაც ტექსტი თავდაკლებულადაა წარმოდგენილი.

ორთოგრაფიული მხრით, ყურადღებას იქცევს ვერტიკალდებულის „ხედმეტი“ ასოების ხმაობა: ვ, ჟ; ც, ჭ, ფ, ა და სხვანი.

შინაარსის მხრით, რვეული გაყოფილია ოთხ ნაწილად ანუ „განყოფილებად“, რომელთაგან, ფურცლების (11—12) დაკარგვის გამო, მესამე განყოფილება შესაბამისად და თავნაკულიადაა წარმოდგენილი (შესაძლოა მეორე განყოფილებასაც აკლდეს ბოლო), ხოლო დანარჩენები ასეთ სათაურებს ატარებენ: I. პოეზია აპოლოგიური; II. პოეზია ბუკოლიური; IV. პოეზია დიდაქტიური.

მაგრამ აი თვით ეს განყოფილებანი და მათში მოთავსებულ ნაწარმოებთა და ავტორთა სია:

პირველი განყოფილება.

პოეზია აპოლოგიური. ზღაპარი.

1. ვირი და ბულბული. რუს. თა გრიგოლ ორბელიანი.
2. ვარდი და ია. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
3. ფოთოლნი და ფესქნი. რუს. თა მიხაილ თუმანოვი.
4. კრიჟინა და ჯინჰველა. რუს. თა გრიგოლ ორბელიანი.
5. ნარგვიზი და ყაყაჩო. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
6. სირი და ქვენტა. რუს. თა მიხაილ თუმანოვი.
7. ნადირთა ჟირი. თა გრიგოლ ორბელიანი.
8. ვარდი და ბულბული. თა ნიკოლაოზ ბარათოვი.
9. სოფელენი და მდინარე. თა გრიგოლ ორბელიანი.
10. ბაყაყნი, მთხველნი მეთესა. თა მიხაილ თუმანოვი.

მეორე განყოფილება.

პოეზია ბუკოლიური. იდილი.

1. მირტილი. თა მიხეილ თუმანოვი.
2. დაუდგარომელი მწყემსი და კეთილი მწყემსა, ანუ კობლე და ხლოე. თა გ ორბელიანი.
3. მთავარე. თა ალექსანდრე ორბელიანი. სწორედ ამ ლექსის შემდეგ რვეულში ამოვარდნილია ორ. (11 და 12) ფურცელი, და ეს გვაფი-

ქრებინებს, რომ ამ განყოფილებას რამოდენიმე ლექსი უნდა აკლდეს.

მესამე განყოფილება.

1. იმავე მიზეზის გამო მესამე განყოფილების წარწერა, სათაური და დასაწყისი დაკარგულია და დღეს პირველი ადგილი უჭირავს თავნაკული ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“, სახელდობრ როსტევენ-მეფის მიერ ნადირობის დროს უცხო ყმის (ტარეღლის) ნახვის ამბავს, რომელიც იწყება ტავით: „სცენსა შესჰჯდა, მონათამცა საუბარნი რად იყურნა“ და თავდება ტავით:

„გაბედით და სიხარულით, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი. შ. რუსთველი“.

2. შემდეგი ადგილი ამ განყოფილებაში უჭირავს საკმაოდ მოზრდილ ლექსს (პოემას): „კავკასიური მოთხრობა“, რომელსაც ხელს აწერს: „ნიკოლაოზ ბარათოვი“.

3. ისური მოთხრობა (პოემა) თა ვიორჯი დ. ქსნის-ერისთავი.

4. პოემიდან კავკასიის ტყუტს. რუსულით. თა მ. თუმანოვი.

მეთხვე განყოფილება.

პოეზია დიდაქტიური. ა. აღსაწერი.

1. შემოღამება მთაწმიდაზედ. თქ. თა ნიკოლოზ ბარათოვისა.
 2. კახეთი. თა მიხეილ თუმანოვი.
 3. თოღოსი. თა დავით ბ. მაჩაბლოვი.
 4. რომანსი*: „ვედარში დამით შემოდგომისა“. რუს. დ. კარლანოვი.
 5. არაღისდემი. (ავტორი ნაწვენები არაა, მაგრამ ეს არის გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი).
 6. „როს ნაალოგონ შვიდ მეფეთ“ (ლექსი). არც ამისი ავტორია ნაწვენები.
 7. დასასრულ მოთავსებულია ერთი ხანა „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც იწყება ტავით: „ილოცავს იტყვის მაღალო, დმერთო ცათა და ხმელთაო“ და თავდება ტავით: „მომეც დათმოზა სურგილთა, მფლობელო გულისთქმათაო“.
- ასეთია ამ საინტერესო რვეულის შინაარსი. არავითარი მინაწერი, თარიღი ან ანდერძი ვადამწერისა ან მკითხველისა რვეულში არ მოიპოვება, რომ მათი მიხედვით შესაძლო იყოს ამ საყურადღებო ქრესტომათიის დათარიღება. ამიტომ იძულებული ვართ სხვაგვარ საბუთებს მივმართოთ.
- როგორც ვთქვით, ქაღალდს წყლივან ნიშნითა შორის უზის წელიწადი „1833“; მაშასადამე შეუძლებელია ეს რვეული ამ წელზე უადრეს იყოს გადაწერილი. ამავე აზრს ადასტურებს ის გარემო-

* იგივეობის დამტკიცებას აძწელებს ის გარემოებაც, რომ თვით ნ. ბარათოვილის ლექსებში დაწვებულა ისეთი უცვლდომები და ხარვეზები, როგორც თვით ავტორს ვერ მოუვლიდა.

* ეს არის პუშკინის რომანსი: „Под вечер, осенью ненастной“, დაწერილი 1814 წელს.



ვახტანგ ლევანის ძე მჭედლოშვილი (მოსკოვის სტუდიის ხელმძღვანელი მისი გარდაცვალების გამო მოსკოვში).

ებაც, რომ აქ მოთავსებულია გრ. ორბელიანის ლექსი „ნადირთა პირი“, რომელიც ამ პოეტის ლექსთა სრულ გამოცემაში (მე-3 გამოცემა, ზ. კიკინაძისა, ტფილისი, 1884 წ.) მთარიალებულია 1833 წლით. იმავე მგონის დანარჩენი ლექსებიდან, რომელნიც ამ ქრესტომათიაში არიან მოთავსებულნი, ჩვენ ვიცით მხოლოდ სამის თარიღი და სამივესათვის ეს არის 1832 წელი (ასეთია ლექსები: „ვირი და ბულბული“, „სოფოლენი და მინაჩა“ და „იარაღისადმი“, შეიღ. ზემოხსენებული გამოცემა 1884 წლისა). რაც შეეხება გრ. ორბელიანის დანარჩენ ლექსებს ამ რეეულში და, ნიკ. ბარათაშვილის გარდა, დანარჩენი ავტორები (ალ. ორბელიანის, მიხ. თუმანიშვილის, გ. ერისთავის, დ. მაჩაბლისა და კორღანოვის) ნაწერებს, მათი არამც თუ თარიღები ცნობილი არაა, დღემდე თვით ეს ნაწარმოებნიც კი, მკირროდნის გამოკლებით, სრულებით უცნობნი არიან ჩვენს ლიტერატურაში*. ამიტომ რეეულის გადაწერის დროს გამოსარკვევად იძულებული ვართ ამ ნაწარმოებთ გვერდი ავუაროთ და ქრესტომათიაში მოთავსებულს ნ. ბარათაშვილის ლექსებს მივბაროთ.

ქრესტომათიაში ნიკ. ბარათაშვილის ლექსთაგან მოთავსებულია ხუთი ნაწარმოები, სახელ-

* შესადარებლად ხელთ გვექონდა გ. ერისთავის თხზულება-თა 1884 წლის გამოცემა (ტფილისი) და მიხილ თუმანიშვილის „ჩრეული ლექსები და სხვა თხზულებანი“. ტფილისი, 1881.

დობრ: პირველ განყოფილებაში სამი (2, 5, 8), მე-სამეში — ერთი (2) და მეოთხეშიაც ერთი (1); შესაძლოა მისი რომელიმე ლექსი მეორე განყოფილების ბოლოშიაც ყოფილიყოს, მაგრამ, როგორც არაერთგზის ნათქვამი გვაქვს, სწორედ ეს ადგილი რეეულში დაკარგულია, და ამიტომ არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

ამ ხუთ ლექსში დღემდე ჩვენს მწერლობაში და ბარათაშვილის ნაწარმოებთა სრულს გამოცემაში ცნობილია მხოლოდ ორი: „ვარდი და ბულბული“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“; მაგრამ ნაბეჭდ გამოცემებთან შედარებამ დავგარწმუნა, რომ ორივე ლექსის ტექსტი ჩვენს ქრესტომათიაში გაკლებით პრიმიტიული და დაუმუშავებელია, ვიდრე ამავე ლექსების დღემდე ცნობილი ნაბეჭდი და ხელნაწერი ვარიანტები; ამ უკანასკნელთა კი თარიღად უზის: „ვარდსა და ბულბულს“ 1834 წელი, ხოლო „შემოღამებას მთაწმიდაზედ“ — 1836 წელი,* განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ლექსის ტექსტი ჩვენს რეეულში დიდად განსხვავდება მისი უკანასკნელი, 1836 წლის, რედაქციისაგან, და ეს განსხვავება ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლებელია პრიორიტეტი ქრონოლოგიურად 1836 წლის რედაქციას მივაკუთნოთ: ექვს ვარეუბა, რომ ჩვენს ქრესტომათიის ვარიანტი ამ ლექსისა ერთ-ერთი მისი პირიანდელი სახეთაგანია, თუ თვითონ პროტოტიპი არაა. ამიტომ შეგვიძლია ამ ვარიანტის თარიღად ვივულისხოთ არა 1836 წელი. არამედ 1835 ან, შესაძლოა, 1834 წელიც.

ერთი სიტყვით, ყოვლისავე თქმულის მიხედვით, ჩვენი ქრესტომათიის გადაწერა უნდა მოხდარიყოს სადაც 1833 და 1836 წლებ შორის, სახელგობრ 1835 წელს ან შესაძლოა 1834 წელსაც; სანამ ნ. ბარათაშვილის ლექსი „ვარდი და ბულბული“ მიიღობდა იმ რედაქციას („ბულბული ვარდზედ“), რომლითაც ეს ლექსი დღემდე იყო ცნობილი ხელნაწერსა და ნაბეჭდ გამოცემებში, სადაც იგი დათარიღებულია 1834 წლით.

გადავიდეთ ახლა თვით ნ. ბარათაშვილის ლექსებზე და მოვიყვანოთ მათი ტექსტები უცვლელი ჩვენი ქრესტომათიიდან (ოდნავ შეეცვლით მხოლოდ სასვენებელ ნიშნებს და თვითეულს ლექსს წინ გავუყუთებ ტაეების სარიცხავს).

II

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის ლექსები.

1. პარდი და ია. ფ. 1. v.

უტყუხა მინდორსა, მწუხანოვანსა,
ნაზარდი,
ნაზად შეხრილია, გაფურჩქენილი, მუნ
ვარდი
ხანცა ილიმის, ხანცა ნაზობს წყნარადი,

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბედი ქართლისა, წერილები. ტფილისი. 1922 წელს (სამსომ ფორცხლავას რედაქციით).



მსტკერს რხევით წყაროს, მოწანწყარეს ტანადი.

- 5. ზევირო-მქროლე, განმაგრლე, მღელვარე! მსუბუქად ჰქროდა, ყუბავილთ ამაღლვარე; იაც სოსანადა, ნარნარადა, მღღამარე ვარდის ახლოსა უკლებლობისა მარადი. ფ. 2 რ. ვარდი ამაყი იტყვის წყნარი! მკინარი:
- 10. იავ წვირილ ძირავ! ნახე, შენთან ვინ არი; ვით თავისუფლობა; ვითა ლაღობ, აქ მღღარი? რად არა იცო, მეტრფის კაცად კაცადი? იამან თმენა, სრულ მოსმენა ინება; ვარდი ქართა ბორბალითა იძრცვენება...
- 15. მაშინ შიშუტლი, გაფლიდული იხრება... ეტყვის ისას: აწ ვგრძენ ჩემი ნაბადი.

თ ა ნიკოლოზ ბარათოვი.

2. ნარბიზი და ქაქაჩო. ფ. 3 რ.

ველსა-ტურფასა, საამურსა კმა ისმის ხანცა ბულბულთა, ხანცა სირთა, ხანც ისმის, ბუჩქთხედ ნიაგი, მომფრინავი, და ისმის წყარო მგზავრთაგან, მაშურალითაგან მტებარია. —

- 5. ყუბავილი ორი, მუნ მღღამარი, ლაელაეებს, ფ. 3 v. ყაყაჩო ნახად, აღისფერად ბიბინებს, ნარგისსაც ჰრწყამს წყარო, ჰქრის ზევირო ანცადა? — ნარგისზან შლილმან, ყვითლად მოსმან ფურკელი

გარდიშალა, განაყვითლა მან ველი; 10. ჰრქუა ყაყაჩოსა, აღისფერისა: ხარ ჰრელი, მითაც არ მშუტნი, ხარ მოხრილი ავად. — ყაყაჩო შეჰხდა, განიფურჩქნა სუნწელიად; ჰრქუა ნარგისსა, მოკამათესა, ნელ ნელად: შუტნიერება გარეგანი არს მართლად 14. უშინავანოდ ფუქი ყველგან მარადო.

თ ა ნიკოლოზ ბარათოვი.

3. პარდი და ბულბული. ფ. 6 რ.

ბულბული ვარდს შეაჯდა და ეტყოდა მტეენაგი: ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი, მიხმენ აჯა, მიჩუტსენ გაშლა ამოდ მონიავი, მწუხრსა აქეთ აქა ვზი, ფიცხელთ ზედა მკინავი.

- 5. ესრედ ჰყეფდა ბულბული, ოდეს ლამეკა ბნელი

მოიცუბავდა წალკოტსა; ჰქროდა ნიაგიც ნელი; მისმანც მალ-ფრთოსანმან მიმოჰვინა სუნწელი; აღმოცენდა მქრქულად მთავარე, დაღუშდა კმაც ყოველი.

- ბულბულსაც, მაშურალს ყვეფით; ვწია მწირი რული; ფ. 6 v.
- 10. აღმოაბრწყინდა მთიებაც, ფრთოსანთაც მხიარული ვალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული, ვინ დახვდა გაშლილს ვარდს, და ვაჰ! დასევა გული! თვალნი ემოსა ცრემლით, გული სევედის სახნილითა, ფრთა ფრთას ჰქრა და აღმაღლდა, მსტიცინავი ლობის კმითა,

- 15. უხზო ყოველთა სირთა: მოდით და შემოკრბითა, მისმინეთ, შემობრალეთ, ვის მიემართო წყლულითა? განთიადით ლამემდე შეეფრთხინიდი კოკრობას, არ გზოგავიდი სიცოცხლეს, არცა სტეინვა, გალობას, მაქუტნდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას,
- 20. ესთ გაწბილდეს, ვინც იწყებს, თვსგან შეფუძლებლობას. —

თ ა ნიკოლოზ ბარათოვი.

4. კამპასნიური მოთხრობა. ფ. 13 v.

ბადრი მთავარე¹ კავკასსა მოჰვენს; აულ და სტანცი მყუდრობს მთის ღამრეცს; მხოლოდ ვაქცაიო ყახხი ჰზისა, მარტოდ უძილო ტალავაოს თვსსა.

- 5. ამოდ ზიხარ, ყახხო, ფიქრით, ეამთა მიმოჰსთავილი² გულისა ძგერით; ამოდ უქერეტ სარკმლით ნაკასა, იღუმად ელი სატრფოს ნახუსა. დაჰსდგა ეამიკა ნახვის საწადი,
- 10. უკაბარდლოდ არს ისეე ნაკადი, სადაც³ ბედნიერ ჰქმნა პირველ ნახვითა მის მტანჯველ ქალმან სიყუარულითა; სადაც ბრზად ქმნილმან ქალისა ნდომით, ფ. 14 რ. ჰვიცა რომ განსძადგეს სარწმუნოებით,

¹ დედანში ჯერ დაწერილი ყოფილა „მწიგნარი“, მაგრამ გადამწერს იმავ მელნით ხაზი გადაუყვამს „მწიგნოსთისს.“ ს. გ.

² ზღუნაწერში ამ მთვრე ხანისა მხოლოდ სამი ტაქია წარმოდგენილი; საფიქრებელია, რომ მთვრე ტაქის შემდეგ მთვრე ტაქი გადამწერს გამარჯვებულს. ს. გ.

¹ აქ აღბად უნდა ყოფილიყო „მთავარე“; ან შეიძლება აკლდეს მთელი სიტყვა, მაგალითად: „სისიგ² ან „შუქს³“. ს. გ.

² აქაც აღბად გადაწერლის შეცდომა უნდა იყოს, ნაცვლად ფორმისა: „მიმოჰსთავილი“. ს. გ.

³ ლექსის მეტრის მიხედვით აქ უნდა ყოფილიყო: „სადაც“. ს. გ.



15. მაშადიანთა ჰსჯული მიიღოს,
რომ ტურფა ჭათი ჩქარად შეირთოს. —
ჰსკერეტს იგი ნაკადს, სარკელს

მდგომარე,

ჰხედავს მყის, რომე ტალავრის არე,
დგას კაბარდელი, მქმუხი, ფერ-ნაკულუ,

20. ფარჩინიერ ღართით, ყაბაღო-ჩაცმულ.

იგი ძმა იყო კაბარდინკის მის,
ადრითვე ყუნაქ მცნობარს! ყაზახის;
იგი მიჰსწევდა მათ ფარულს სიყვარულს:
ვღახ კაბარდინკის ჰურის ტიუნებულს.

25. ჩემს დასა ელიო? უთხრა ყაზახსა:
ის ვერღა მოვა წყლისთვის ნაკადსა,
მაგრამ შენ მიეც შეერთვის ფიცი ძმას:
აბა რას იტყვი?... აღსრულდეს—
ღრო არს.

ჰსცან, რომელ ასულს მოგიცლით სამს
დღეს;

30. თუ დაივიწყებ, ყაზახო, შეცკა შენს...
მინდა გაცნობო—მოველი შენთან—
რომელ თვთ ჭათი იქნება შენთან—
მსწრაფელ განჰქრა იგი, რა რქუა

ყაზახს ეს,

ვის სინიღისი ჰქენჯნიდა სამს დღეს,

35. თუ ვით უმუღთილოს ჰსჯულსა წმიდასა?
ან ვით მოაკლდეს მშუანერის ჭათისა?

უქუც სამმან დღემ განვლო ესია,
როს მას დატანჯულს სევდა ესია,
შუაღამისას ჰსწვევიდა თვის მხვედრს
დაცემულია მარტოდ სარეცელს; ფ. 14 v.

40. დაჰკრეს მის კართა და მანც გააღო:
კაბარდინელი პარკითურთ იყო;
ვით ღამე ბნელი, მხეცებრ საზარი,
ბუტბუტემს ჩუმათ, თვალთ მელვარი.

45. სამსახურს ახლავს ყუნაქს ჩემი და,
ჰსთქუა და სარეცლის პირდაპირ დასვდა,
მოჰხსნა პარკს პირი, ყაზახის ფეხთან
ამოიღო მყის ჭათის თავი მან.

50. შენ უპატიოდ არ აქვს სიოცხლე;
შენ პატოვი და სიოცხლე ჰსტაცე...
აჲ ჰკოცნენ მასა, თუნდ ყოველს თამსა,
მშვიდობით, ღმერთთან მაგიერ გყოსა!

მღუმრად დაჰსკერდა ყაზახი თავსა,
აბრაილგება მხეცებრ თვალგება;

55. დაეცა მის წინ მუხლთა მოღრეკით,
მკუდარსა ცოცხალი შეეხო ბავით...

ბრწყინვენ კენწერნი სრულ კავკასისა;
დღეს, როს წინაშე ჰკოვოს სახლისა
შეკრბენ ყაზახნი, იგ ახალგაზდა—
ყაზახი ერთი, იგ ახალგაზდა!

ნიკოლაოზ ბარათოვი

ფ. 18 r.

5. შიმოღამება მთაწმიდაზედ.

აბ! მთაწმიდაო, მთავ წმიდაო, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უღაბურნი,
ვითა შუცნობენ, როს მონამენ ცუბარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაშოვენ ამოს ციავნი ნელნი!

5. ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყუავს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს აღმად ველსა ყვავილნი მოჰფენენ, რეცა ტბოლას წმიდასა,
და გუნდრუკს ღმერთთან სამადლობელსა შენდა აღკმევენ სუნნელგებას.

მახსოვს იგი ღრო, შესატრფო ღრო, როს სევდიანი

10. კლდევ ბინდმოსილო, შენს ბილიკად მიმოვიღოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და ნადვლიანი!

ფ. 18 v.

აბ! ვით ყოველი, ზუნებაც მაშინ იყო ღამაზი მიმქაქალგებულო!

15. აჲცა რა თვალნი ლავჯარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
და შენს წილში დაფიონ მოსილს მიმოობითა განიზნევიან.

მე შენსა მქერეტელს მაიწყდების საწუთრობეა,
გულის თქმა ჩემი, შენს იქით... იქით... ზესკენელსა სადგურს
ეძიებს, რათა დაჰშოოს აქა ამაოება,

20. მაგრამ ჰაერშივე განქარდების ვერ ჰსცნობს უცნაურს!

დაფიქრებული ვიდექ სერზედა, და ცათა მიმართ მზირაოს ტრფობითა
შემომეტრეცმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაბრათო მღუმარებითა;

1 ამ სიტყვის ბოლოში „ს“-ანი ზედმეტი უნდა იყოს. ს. გ.
2 რვეულში ამ სიტყვის სხვაწარად წაკითხვა შეუძლებელია. მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი გადაწერის დროს დაგეზინჯებნილით,
ნაცვლად სიტყვისა „შეულს“.



ანცნი ნიაენი, ნელიად მჭროლნი, დელიეთა შორის აღმოკუნესოდენ
და მღუმარენი შემოგარენი მით ჩემსა გულსა ეთანხმოებდნენ.

25. მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო!
ენი მოგიხილოს, რომელ მყისვე თვსთა ფიქრთ შტება
არა იპოვოს, არ ნუგეშყოს გულთა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

შსდუმენ ყოველნი არემარენი; ბინდი ვადეკრა მთისა კამარას;

30. მჭრალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთავრე... მოჰსდევს ვით ნუკრი, მისი ამარას
ვარსკლავი მარტო, მოციმციმარე... მისი ლიბრი არს მინახებულნი,
მაგრამ მით უფროს უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით ქალწული.

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!

გი! აღგიღონო! მახსოვს¹, რასაც ვჭიკრობდი

35. მე თქტანთა შორის და ან რასაც აღმოვიტყალი,
მხოლოდ გული გრძნობს, თუ ვით არი ჰსდღენით მის შტება².

უ. 19 r.

გი მიმწუხრო! სატრფიალო, შენ დამშით მხოლოდ გულში საშტებლად;

როს კმუნვარება მომესვიცა, შენდა მოვილტი განსაქარებლად;

როს უტყუნი ჩემნი აღმოაკვრანი შემომახვევენ ფიქრთარობას, —

40. მაშინ მზირალნი შენზედ თვალნი ითხოვენ შენგან მისთვის მისნობას!

თქ. თ ა ნიკოლოზ ბარათოვისა.

III

ტექსტების გამო.

ნ. ბარათოვილის ზემო მოყვანილი ტექსტების განხილვა გვიჩვენებს, რომ იგინი პოეტის ყრობის (გინწახის) ხანსა ქუნდა ეკუთნოდენ. მითში სამი (1, 2 და 4) დღემდე სრულიად უწინაა, ხოლო ორი (3 და 5) დღემდე ცნობილის ლექსების ნაღრეს ვარიანტს წარმოადგენს, სახელდობრ: „ვარდი და ბულბული“ უდაოდ პირვანდელი სახეა ბარათოვილის პირველი თაბახსიათენი ლექსისა, რომელთა ვარდი“¹, რომელსაც 1922 წლის გამოცემაში თარიღად უზის 1834 წელი, ხოლო მე-5-ე ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“² იმავე სახელწოდების ლექსის (დათარიღებულს 1836 წლით) მოვავგონებს, როგორც ამ უკანასკნელის ერთერთი უაღრეს ვარიანტთაგანი. განსხვავება ამ ლექსების დღემდე ცნობილ ტექსტებსა და ახლად აღმოჩენილს შორის იმდენად დიდი და დამახასიათებელია, რომ ჩვენი დებულების ქეშმარიტება ყოველ ექვს გარეშე უნდა ხაითვალოს. ეს განსხვავებანი ზოგჯერ აზრსა და შინაარსს შეეხებინან, ზოგჯერ პოეტურ სტილს, ზოგჯერ კი ენის უბრალო გრამატიკულს უსწორ-მასწორობას, მაგრამ სამსავე შემთხვევაში იმ აზრის სასარგებლოდ დაპარაკობენ, რომ ახლად აღმოჩენილი ტექსტების წარმოშობა უნდა ეკუთვნოდეს იმ ხანას, როცა ტატო ბარათოვილი, და მისი სასყო-

ლო ამხანაგები სულ ახალი გამოსულნი იყვნენ „სამწერლო ასპარეზზე“. ეს ხანა კი იყო ცნობილი კატასტროფის (1832 წლის) მომდევნო წლები, სახელდობრ 1833 წელი და შემდგომი, როცა ტფილისის გიმნაზიაში, მიხეილ თუმანიშვილის რედაქტორობითა და ბარათოვილის თანამშრომლობით, იწყო გამოცემა ხელნაწერმა ჟურნალმა „**ЦВѢТОКЪ ГИМНАЗИИ**“-ი (*გინწახის ვევილომა*)³. საყურადღებოა, რომ ახლად აღმოჩენილი ქრესტომათიის ქალაქის წყლოვანი ნიშანიც იმავე 1833 წელს გვიჩვენებს, და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ამ ქრესტომათიას რაამე კავშირი ჰქონდეს ზემოხსენებულ ჟურნალთან, მაგრამ რადღან ჟურნალს, როგორც ჩანს, რუსული სახელი ჰქონია და შესაძლოა ტექსტებიც რუსული ჰქონოდეს, ამიტომ, ვიდრე სხვა საბუთები არ აღმოჩენილა, ამ დამოკიდებულების შესახებ სჯობს ჯერ-ჯერობით მეტი აღიარა ითქვას რა.

რაც შეეხება საყოთრე ზემოხსენებულნი ორი ლექსის⁴ დღემდე ცნობილისა და ახლად აღმოჩენილი ტექსტების ურთიერთობას, მათი უბრალო შედარებაც კი საქმეა ახლად აღმოჩენილს ტექსტების პრიორიტეტის ნათელსაყოფად.*

ამ ახალი ლექსების შინაარსის ანალიზს და მათი სტილისა და სალექსო ტექნიკის გარჩევას, აგრეთვე დანარჩენი ავტორების ლექსებსაც, რომელიც იმავე ქრისტომათიაში აღმოჩნდნენ, აზრად გვაქვს სათანადო წერილები ვუძღვნათ; და ამიტომ ჩვენს დღევანდელ წერილს შემიღვეს მოკლე შენიშვნით გავათავებთ: ნიკოლოზ ბარათოვილის ახლად აღმოჩენი-

¹ ლექსის მეტრის მიხედვით აქ ორბარცლოვანი სიტყვა უნდა იყოს გამოტრეპული; შესაძლოა ეს სიტყვა იყოს იგივე სიტყვა „მახსოვს“ განმეორებით.

² ხელნაწერის სწორია: „შუბება“. ე. ი. „შ-ნს-ნა ბაგშ“ არა აქვს

* ი. მუხრანავა: „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათოვილისა“, გვ. XL. (იხ. ნ. ბარათოვილის ოხულებთა გამოცემა 1922 წლისა).
³ პიტეცემულ ავტორის წერილში რედაქტორს უაფილობის გამო სტოვებს დაუბეჭდავად იქით ადგილებს ამ წერილისა, რომელნიც განსაკრებულ სპეციალურ ხასიათს ატარებენ. რ. დ.



ლი და დღემდე უცნობი ლექსები თავისთავად დიდ პოეტურს ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს როგორც საუკეთესო მასალის ამ მგონის შემოქმედებითი ნიჭის ზრდისა და განვითარების გასათვალისწინებლად; კერძოდ ისინი შუქსა ჰყვენენ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების იმ პერიოდს, რომელსაც „კარმობის ხანა“ შევფიქვლია ვუწოდოთ; და დღემდე სწორედ ეს ხანა ყველაზე ნაკლებ იყო ცნობილი, ნაწარმოებთა სიმკირისა გამო, ნ. ბარათაშვილის შე-

მოქმედების ისტორიაში. დღეიდან ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულს, რომელიც აქამდე მ-ი-ოდ ნაწარმოებს შეიცავდა (მიწერ-მოწერას არა ვთვლით), სამი სრულიად ახალი და ორი ფრიად მნიშვნელოვანი ვარიანტი ემატება. ვისურვებთ, რომ სხვა მკვლევარი ჩვენზე უფრო ბედნიერი ყოფილიყოს და, ახლად აღმოჩენილის ხუთი ლექსის საბადლოდ, ამ ნიჭიერი ქაბუკი მგონის ხუთჯერხუთი დღემდე უცნობი ლექსი და ვარიანტი აღმოეჩინოს.

ბ. გორგაძე.

ზ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ბარათაშვილა, როგორც დიდი პოეტი, აღმოაჩინა ქართული ლექსი როდენმა ილია ჭავჭავაძემ.

ბარათაშვილს ჰყავს ერთი წინამორბედი, რომელიც არ უნდა იქნეს დაეიწყებელი, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „მერანის“ გენიალურ ავტორზე. ეს არის გურამი-შვილი—ქართული პოეზიის ვერლენი, რომელმაც ალიარა თავის მრავალტანჯულ ცხოვრებაში ლეონტი მშობლის და ალასტერის კულტი და დასტევა ანდერძები, რომელნიც გვაგონებენ სიღრმით და ძლიერებით ფრანსუა ვილონის ანდერძებს.

ბარათაშვილი დღემდე არის ჩვენი უდიდესი ლირიკოსი და არ არის მეორე პოეტი, რომელიც ლირიკაში შეედევება მის შეუდარებელ სახელს. ის დღემდე ახდენს გავლენას პოეტებზე. მისი ეპიგონების და მიმბაძველების რიცხვი უთვალავია, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ პოეტებს, რომელნიც ენათესავებიან მას. ლექსი ჩვენი თანამედროვეს—ვალატის ტაბიძის—ამთაწინის მთავარე“ არის რუზონანსი ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზე.“ მისი მოწაფეები და განმგრძობნი არიან ასეთი პოეტები, როგორც სანდრო შანშიაშვილი და შალვა ამირაჯიბი.

ბევრი ლექსიბი ჩვენი კლასიკოსების ილიასი და აკაკის აღნიშნული არიან ბარათაშვილის უმაჟგელი გავლენით.

ბარათაშვილის „მერანი“ არის ქართული პოეზიის მიუწლომელი დიდი და გარდაუვალი თემა. ქართველი პოეტები უცილობენ მიუხალოდენ ამ იდიელს და ასეთ ცდათ უნდა ჩაითვალოს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლურჯა ცხენი.“

ტიციან ტაბიძის შესანიშნავი ლექსი „ცხენი ანგელო-სით“ თემატიურად ანალოგიური „მერანის“, თავისი ფორ-მითა და შინაარსით არის სრულიად ახალი და განსაკუთ-რებული მიღწევა ქართული პოეზიის.

არიან პოეტები, რომელთა ცხოვრება არის ბრწყინ-ვალე ილიუსტრაცია მათი შემოქმედების. ბარათაშ-ვილი არ არის ასეთი.

მის პროზაულ და ლარბ ბიოგრაფიებში არ არის თვალსაჩინო მონეტები და მისმა შემოქმედებამ უნდა გა-მოისიყოს ამ ბიოგრაფიის ნაკლი.

მისი უღრმესი სიკვდილი, როდენაც ის მოკვდა ახალგაზდა, სტოვეს თვითმკვლელობის შთაბეჭდილებას. თავისი სიკვდილი უცხეთში მან იწინასწარმეტყველა პრევიდენტალურ „მერანში“.

მის სანტიმენტალურ წერილებში არის მოულოდენ-ელი ირონია.

ზღვის სიყვარული ბარათაშვილმა გადაიტანა ერთ ფრანგ ქალზე, რომელსაც ჰქვიადა სახლად დღღფენა.

ერთ აპოკრიფულ პორტრეტზეც ის წარმოდგენი-ლია ანდროგინად, მეორე კემშირტ პორტრეტზე ვაჟა-ცაად მონილოური, თუ სააკაძისებური სახის გამომეტყვე-ლებით.

მატყარმა ლაღო გულიაშვილმა მოგვცა პოეტის პრობლემატიური სახე, მისი ფანტასტიური და შეიძლება ყველაზედ უფრო ნამდვილი პორტრეტი. ჩვენ ვხედავთ კუხინივით მოღუნულ მახინჯის ციებიან სახეს, რომელიც განწირულია წამებულ და ღრმა ფიქრისათვის.

როდესაც მატყარი ჰქმნიდა ამ დემონიურ სახეს, აღბად მას სახეში ჰყავდა ის მაკდური დემონი, რომე-ლი მთელი სიცოცხლე სდევნიდა პოეტს.

თუ წარმოვიდგენთ პოეზიას, როგორც მასკარადს, ბარათაშვილი იქნება ყველაზე უფრო ტრაურული ფიგურა ამ მასკარადის.

ის არის ქართული პოეზის ჰამლეტი. მისი ლექსები დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლე-ტის ნიღაბში მდგის თავის ლექსებს და წარმოსთქვამს სახელგანთქმულს „ყოფნა არ ყოფნა.“ ბარათაშვილმა პირველმა ქართულ პოეტებიდან გაზნდა ჩაებუნდა სახე-ში თავის სულისთვის—მედუნასთვის და მასი პოეზია არის უტყო და გრუნტულით სავსე დიალოგი პოეტისა და მისი არიულის შორის.

შუღამისას, როდესაც მარტოობა გვიკარნახებს თავის კომპარებს და ნეკრატენია მირთოლოვარე ხლებით გულზე ფოლაქებს იბნევს, გვაგონდება ჩვენ ბარათაშვი-ლის ლექსები, მათი თინიანი და დაუზოგველი ჩურჩული, მიეღი მთავრული ლექსიკონი ამ ენაბლუ პოეტის ბარ-ბაროსულ რითმებით და უძველეს ეპიტეტებით, რომელ-ნიც მეტოქეობას გაუწევენ საშულ-საუქუნეთა საუკეთესო გაბედლებებს.

ის შემოღგობა და გახრწნა შთაბეჭდილებათა, რომელზეც ლაპარაკობს ჰიუსისმანსი „შამიანი ყვევილები“ დეკლარაციის დროს, უკვე ეღვარებს ავ ცეცხლად ბარათაშვილის ლექსებში. მან მოსწამლა ჯანსაღი ქართული პოეზია იქვის შხამით და ჩვენ შევიძლია უწოდოთ მას ჩვენი პოეზიის პირველი დეკადენტი. მან „გამაირონა“ მელანქოლია ქართულ პოეზიაში და მისი მემკვიდრეები-სათვის ადვილი იყო სიარული ნაცადი გზით.



როგორც ალბრეხტ დიურერის რაინდი ის პირველი და ერთი ერთი რაინდაც სცდის, რომელიც არ უღალატებს ოცნებას და მოგონებას.

ბარათაშვილი პირველი კავალერი იყო დაისის და მისი საღამო არის პოეტური აღმოჩენა და გამოცხადება. მისი საღამო საყდარია, სადაც ღვეღელსახურებს თვით პოეტი. მისი „შემოღამება მთაწმინდაზე“ არის მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ლირიკის უმაღლესი მიღწევა.

მის ლექსებში სხივანად ქართულ პოეზიას პირველად შემოაღამდა ცის ქვეშ, რომელიც საშინელია თავისი ღრმა უფსკრულით.

პოეტი ვრუბელისებურ სერაფიმით სდგას მთაწმინდაზე და იქედან გადაჰყურებს თავის სიკოცხლეს. კიდევ ერთი წუთი და იგი, როგორც კრებულის დღმონი გადავარდება ნაპრაღში და დაიხრჩობა დაისის დამაბრმავებელ აღშ.

მის ლექსებში ჩვენ ვხედავთ ვარსკვლავების სინათლით და ბარათაშვილის ვარსკვლავები უწმინდესი და უჭაღურესია მნათობთა შორის. თუ ფრანგმა პოეტმა ლაფორტმა მიანდო თავისი გულის ჩივილები და საყვედურები პროცენციულ მთავრეს, ბარათაშვილმა გაუზიარა თავისი ტანჯვა ერთ პირქუშ ვარსკვლავს, რომელიც დღემდე ანათებს ჩვენთვის და იწვის თავისი გაყინულ-სიყვებით, მისი სუბული მორცხვია, როგორც ვიოლონჩლის კენესა და არ არის სხვა დიალოგი უფრო საკვირველი თავისი ინტიმით, როგორც სიმბოლიური დიალოგი „შვირისა და სუმბულის“. ეს ორი ჭიანჭურის დეტეია, რომელიც სტრიან წყვდიადში და უპასუხებენ ერთმანეთს უფრო ნახი ვედრებით, ვიდრე სიტყვები მეტერლინკის დებისა.

ბარათაშვილი არის მამამთავარი ინტიმური პოეზიის, რომელმაც მიიღო შემდეგი განვითარება მეოცე საუკუნის ქართველ პოეტების შემოქმედებაში.

ბარათაშვილის პოეზია არის „საუცხოვო პეიზაჟი, სადაც საღამურებით დაეხეტებიან მასკები, მარკიზთან პიერი და კოლომბინასთან პაიკი“.

ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა შექმნა პოეზია დენდისმის და ვერლენის აზრდობების.

ყუთლანი—მომხიბლავი გმირი ყაბახის—ქართველი ბრემლია.

მალიარამ უთოოდ დასაღა ბარათაშვილი, რომელმაც შეისისხლბორცა მიუღი წამება საუკუნეთა და ვეგდა კატისტროფები უსაზღვრო სივრცეებში დაკარგულ ადამიანის სულისა.

როდესაც ის მიეჭანება თავისი მერანით უცნობ სიშორეში, ის თავის მისტორი იდეალისთვის უარს ამბობს სამშობლოზე, რომ გადასიკვლავს ბედის საზღვარს და იგონოს თავი მიწიერ ყოფნის გარეშე.

ბარათაშვილი პირველი დიონისია ქართული პოეზიის, რომელმაც განსაკუთრებული ძლიერება განხორციელდა „სიგაიე“ და ორგანისტობა სასწაულ მოწყურებული ოცნების.

„მოთვლილი ხომალდი“ არტურ რემბოსი და „მერანი“ ბარათაშვილის არიან ერთი კათეგორიის ლექსები. აქ დიონისი დღესასწაულოებს თავის გამარჯვებას „საღ ვინებაზე“ და შეუჩერებლად მიეჭანება ნირვანისაკენ.

ბარათაშვილის სულში იყო ღრტოლა დიდებულისადმი (ნაპოლეონის ტულტი), მაგრამ მას ჰქონდა სიყვარული მინიატიურის. მისი ლექსი „საყურე“ შეიძლება ყველაზე უფრო ინტიმური ლექსია მსოფლიო პოეზიაში, საყვედურად დაფარული ვენებით და ვრაციით.

პოეტი ანიჭებს სიკოცხლეს უსახელო გარნომებს და პოეზია ნაწრდობებს, ფეფერული ყოფნის იპყრობის ჩვენ სულს. ირაციონალური და ლანდური ყოველთვის საგრანობებელია მის ლექსებში. ის მუდამ ორმაგ ყოფნის საზღვარზეა, როგორც ტიტუტეი. ის განიცდის დროს, როგორც კომპანს, მიწაზე მივაჯუგული, როგორც მაღარმის თოლიანნი ვადის, ის ელტვის უსაზღვროებას, რომ განიძარკოს დროებით ტანთსაცმელიდან და ანგელოსებთან ერთად ამობრწყინდეს მშვენიერ ეთერში.

მის ღრმა მცნება სიმბოლოსი კიდევ არ იყო აღმოჩენილი, მაგრამ თვით ბარათაშვილი არის სიმბოლო და სინონიმი პოეზიის. პოეტები გახდნან თვით ბარათაშვილის თავისი შთაგონების წყაროდ.

ლირკა კიდევ დაუბრუნდება მას და შეიყვანს თავისი გმირების პანთეონში. ლირკა „გადაახლისებს“ მას და ამ ახალ მასკარადში ბარათაშვილი დაიქურს შესაფერადილს. მისი დღევანდე კიდევ ერთხელ შეხვდება მას ლირულ ელიზიუმში, როგორც ორგვესს ხევედა ევრილიკე.

ვალერიან ვაფრინაშვილი.

ბ რ ს ე ნ ა ს ლ ე ა ს ი

(მესტირული)

შაირსიტყვითა მესტირემ ღმერთი მაღალი ასხენა: „ღმერთმა მოგცეს გამარჯვება ოძელაშვილო არსენა!“ ქიფი იმის ყუყარდა, გზებზე სუფრიას ვაფენა. შეიდ წელოწინა ტყეით იარა, მთა და ბარი შეაჯერა. რო შეიქნა თექვსმეტი წლის, უღვაშები დაიშვენა; შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააქენ-გამოაქენა. ზაილო ბარათაშვილი ძალიან გაგვიანაყენა: ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენს მოეწონება: — „გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაიგონდება!“ რა რომ შინაღდან ვაივდა, ბარათაშვილს გადმეტერა.

— „ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისთანაო? ბიჭო არსენა, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო!“ — „მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგიტოვებ ჩქარჩქარაო“. ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო: „თორმეტი აღარ მივდიხა ბიჭები შენისთანაო?!“ — „აბა თუ თორმეტიცა გყავს, აივდ და მაშეც თანაო!“ ე რ ზაალმა გაიგო, ჭოში უფულმა ჰყარაო, კარიდან ვეღარ გაასწრო, ფანჯარიდან გადაიხარაო. მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა, ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შეუკერა,



იმის ქვემოთ შეიღობი) კოკებადინდ დაუშვენა.
 მობრუნდა ჩვენი არსენა ცოლშვილით გაანამტყერა.
 ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლი.
 დაჯდა ჩვენი ის ზაალი და სტოლზე წიგნი დასწერა,
 ქლაქში გამოაცხადა, ლებერნატორს მოახსენა:
 „გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!
 ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართო და გადმიყენა;
 წამახდინა არსენამა... თუ რასმე მიშველით თქვენსა..“



რო შექნა თქვენსმეტე წლის, უღუფუბრი დამიშვენა;
 შუგდა თავის ლურჯა ცხენზე, გაავენ გამოხატენა
 ეს ზაალ ბართათშვილი ძალიან გაგვინაწყენა

თუ თქვენ იმას ვერ დაიკერთ, ძნელია ჩემი დარჩენა.
 ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.
 კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:
 „ღრასტი ზნაკომ, გავიმარჯოს; კუდა იღოშ, საითკენა!“
 — „ჩვენ შენი ჯაგერი არა გვაქ, მივდივართ მარაბდისკენა.“
 ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვიან არსენა,
 თუ ვისმე კი გავგონოს, გვიინდა იმისი დაქერა.“
 ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა ნელა.
 ნაბადი გვერდზე მოივლო, თოფი ფეხზე შეაყენა;
 ჯერ რომ თოფი დახაზა, მერე ხმალი შეაშველა;
 ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოივინა.
 თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხეთში არ გააჩერა
 „ნას კაკოქი“ მოაძახა: „თავად ვახლოვარ არსენა!“
 სულ უკან იხედებოდნენ: „აღარ მოგვდედვდს არსენა.“
 ქლაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროს მოახსენა:
 „უზარბაზნით არ იქნება თქვენი არსენას დაქერა.
 ან არის მდევი, ლომ გმირი, ან არის რკინის მკენეტელა.
 თუ ჩვენგან არ დაიკერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
 რომელსაც ხელი მოგვიკადა, ფეხზედ აღარ დაგვაყენა.
 ექუსა თოფები წავგართო, სულ მიუწებით დავიქტენა.“
 ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლი:
 „ნეტავი კაცი მაჩენია იმ არსენას დამტყერელა,
 ოქრო და ვერცხლი ვაჩქურა, რა ფულეში ამოიტელა!“
 აღმასის წყალზე ურჩებს აწყვენი ბედისწერა.
 გამოართო ადლი ხახამს, ოთხს კისერში წაადგენს:

„თუ კარგ ადათს არ დაიკერთ, გააწყლდომით ხენა და თესვა.
 ძალით გაქმევ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგახსნით წვენსა,
 თუ იმას არ დამეკრდები, ქართულათ დგაპარსავ წვერსა.
 ჩამოხვიდოდით ქლაქში, ყდულუბოდით ფარას ქრელსა,
 ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკახავით ცხენსა;
 ქერისა და საწყალ გვეტყუებთ, ნამეტნავით პატარძ-
 ლებსა.“

მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუფლდესა,
 გატება და გადაავლო: „ფუ, გამქელი გაუწყლდესა!“
 შინდის ჯობი გამოუტრა, რომელიც რომ გმელი თქვესა;
 შეიდი მტკავლით გაუზომი: „მისხალი არ დააქლდესა;
 თუ ამითი არ ვაპყიდეთ, ვი დელი თქვენის ღმერთსა!
 საცა რომ შემოგვეკრები, სუყველას გამოუტერი ყელსა!“
 იმ საწყალმა ურჩებმა სულ კანკალი დაიწყესა:
 „ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რალა დახლი დავგივლდესა?
 ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ ღუქნებში დაღუბესა.
 არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმები წახდესა!“
 — „სახალზე მამყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის შხესა!“
 არა ღირდა ორ მანათათ, ერთ თუნზათ დაუფასესა.
 მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადგენსა.
 დახედე, სახალზეხს სულ ტყუილად წაართმევსა.
 კიდეც იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძვესა;
 ურიავე, ფულეში მამე, ვიცი საგძლით მამინდესა
 ის საწყალი ურჩები დაეკითხნენ ერთმანეთსა:
 „მეუო, ე ფულეც ვაჩქურთ, ეგებ ცოცხალს გავიშვენსა.“



მოსტაცა ბატონს მოაზღე, ახალციხეს გადაუყენა,
 ჩათის კიბები გახადა, სხვა ფარჩები შეუტურა;

ამოილეს და ვალუდეს, თხუთმეტი თუნძის ოდენა.
 ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გადადენა.
 „ოლონდ დავეხვდარ არსენა, გამოვაცხობთ სევისკერისა,
 ქართულათ დავინთობრებით, კარგ დავიპარსავთ წვერსა,
 ძალით ვკამბო ღორის ხორცს, თუ თავზე დავისხამთ წვენსა!“
 გაზას სომეხი მოდიოდა, არხენათ ნელი-ნელა;
 არსენა რომ დინახა, თავქვე ცხენი დააქენა.
 წინიდან წამოუარა: „სათი მიზარბანდებით თქვენი?“

1) შეიღობი—აბრეშუმის ქსოვილი, ჩვეულებრივ წითელი ფე-
 რისა, რომელსაც ქალის პერანგის ახანავად ხმარობდნენ.
 2) მარაბდა—სოფელია ალგეთის პირად, არსენას სამშობლო.



გე ქულაჯა გაიხადე ეს სთქა¹⁾ ჩაიცივი შენა²⁾.
ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭეტი დაიმშენა.
ცხენი გრილოში დაბაბა, თავათ იქაც მოისვენა.



ჯერ რომ თოფი დახაბლა, შერე ხმალი შეაშველა;
ათი თორმეტი ყასახი სულ ცხვარივით გამოაშველა.

II

ბრძანება შემოეთვალათ (თბილისიდან უფროსებსა):
„ერთი კაცი ავრე ჩაღის, ათასი რას შეიძლება?
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა.“
კახარტინები³⁾ შეუტერეს, ლეკში⁴⁾ არსად ვაგიდესა.



შინდის ჯიბი გამაუტერა, რომელიც რომ გმედილი თქვენსა;
შეიდი მტკავლით გაუხოზა: „მისხალი არ დააკლდესა“;

„თუ რო ლეკში ვადავიდეს, ყაჩაღობას დაიჭერსა.
ყაჩაღობას ვინ დაიჭერს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“
გაუწყრა მალალი ღმერთი ფარსადან მოღბისხვევლსა:
ნაუღიმამად მოიკიდა, მგვრამ ის ულაღატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.

¹⁾ თქვა—თქვა-ნაბადი, ჩუღი.
²⁾ კარანტინი—ადგილი, სადაც გუბნს შეეკრენ ხოლმე მგზავრების გასაჩხრევლად სწენის დროს.
³⁾ ე. ი. დაღესტანში.

ათაფრავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხედესა:
—„არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოიღიბარ ჩვენსა?⁴⁾
—„მილაღატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა.“
—„არსენ, როგორ გილაღატებ, სამი შეილის მომნათი-
ვლელსა,

ჩემის მირონის მომღებსა?“
ძირს ღედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცავი ღმერთსა.
მაშინა სთქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა?
მოიტყუილს არსენა, ტკბილის ღვინით დაამთერესა;
აი ლამაზი ღვინითა, ის არსენა დაგვითერესა;
შემწეარი და მოხარულნი წინ ტბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და ქალიშვილსა ტკბილი ძილი მოუწოდესა.
იარალი აიყარა, ნათლიღელას აბარებდა:
„ხვალ თუ მშვიდობით ვათენდა, აღრიანათ დამპირდესა“
იალუჩი და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,
ათი-თორმეტი მეცხვარე თავმძიმესა დააწვესა.
ზედ ტყავები წააფარეს: „არსენას არ შესცივდესა.“
ამ მამამალს ფარსადანსა გუნებაში რა უტევსა?
შუაღამე რომ შეიქნა, თავის ამქარაში გასწვესა.
არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:
—„ე მამამალის ტიელი, რა ბუზები მსხდეს ესა?“
ათსა ავრე წამოუღდა, სულ მუშტით დაამატრევს ყებებსა:
მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს უკრავენ ხელსა.
ისე მაგრა გაუთერეს, ფხიზლებში სისხლი გასწვეთსა.
„ნათლიმამავ, ნუ მლაღატებ, ნუ ჩამავიდებ მტრების ხელსა.
ათასწლიათ სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მლაღატებ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?“

ჩემს მივიერ სამართალსა ღვთისმშობელი ვაგიჩენსა.
ნუ მლაღატებ, ფარსადანო, ნუ ჩამავიდებ მტრების ხელსა,
ორას თუმანს აქ ვაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა.“
ფარსადანს ასე გვანა: ჩინს მომეცენ, ტელააკებსა.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუტერესა:
„ბიჭო მარლი არსენა, გზაზედ არსად ვადმოხტისა.“
წამოიყვანეს ქალაქში, თვლიდგანა ღვრიდა ცრემლსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრეღის გუნდივით დასდევსა:
იმერლები იხაიან: „კი, კი, კი, კი, სადა თქვენსა!“

სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა!“
 ოსები კი იძახოდნენ: ხორზუ, ხორზუ არის ესა
 რუსები: ოჩენ ხაროში, ეიბოლუ მალადღე!
 ბებრები გაიძახიან: „ახ ნეტავი დედა შენსა!“
 პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მუღლესა!
 ნეტავი იმის კისერსა, ვისაც ვადაუხვევ ხელსა!“
 მაგარი ბორკილი მიიჭებს, თორემ წვრილებს დაამტვრევს
 ჯილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რიღას დააკლებსა.
 მოუბრუნდება არსენა, კამეჩიით შეუბღერებს:



წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდან ღვრიდა ცრემლსა,
 მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევს:

— რას მიპირობ, ნათლი-მამავ, თუ წაუველ ამით ხელსა?
 თრიალეთში ცხვარს ვაგიწყვეტ, მინდორში დაგიწვავ ძნებსა,
 მირონსაც აღარ დაეძებ, ლორიეთ გამოჰკრიცე ყელსა!“
 იმ უფროსის კარგებუდა არსენა იმოყვანესა.
 ფარსადანს გაუჯავრდებდა, თავსა და პირს დაამტვრევსა:
 „შე წუწყო და მამამალო, რათ იტყვი ე მეგ ტყვესა?
 ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
 არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამტვრევა.
 ფარსადანს ასე ეგონა „ჯამაგირსაც გამოიჩენსა“.
 იმტელი მამა უცხონდა, რამტელი იმას მისცესა:
 ერთი ოთხიოდ პანდურე ამოჰკრეს და გაავდესა.
 უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალოა:
 „რა კარგი ვაჟაკი იყო, ზეზუტო ჩამომხმარაო!
 რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“
 — „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგესცენა:
 მართალია, ვაგარდნილი დაედილი მშიერ ველო,
 მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის ქვეა,
 დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა“.
 არსენას ხელი შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
 იმ ნარიყალა (ციხეში!) ის არსენა შეავდესა,
 შეიდი კვირა და შეიდი დღე იმ ციხეში აყოფესა;
 საციხეშითა გაამწყესს, ცალი წვერი მოპარსესა.
 მაშინა თქვა არსენამა: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
 მე რომ ამ ციხეში მოვკვდი, ბუკობას ვინ დამიგდებსა?“
 იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედამამის მუხსა,
 აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭუი მაწყუხებსა;

წამოიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა“.
 წამოიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა,
 ერთი საწყალი მანათი არსენას ჯიბეს უღევსა,
 ამოიღებს, გადაუვდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
 — „ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშიერი სალათებსა“.
 დახედ, ის მიკიტანი მეგობრათაც გაუჩნდესა;
 სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
 სალათებს ოტკა ჰგონით, ჩუმათ რომი ჩაუსესა.
 ისე დათერნ სალათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
 აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
 უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქიობს ჩაუვდებსა.
 მაშინა სთქვა არსენამა: „ჰა დიღება მოწყალესა!
 ჩემი საქმე არის ესა!“
 აუზებთან რომ მივიდა, აიწვეს და გადახტესა.
 მიღვა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
 ყარაულებსა ჰგონით: „აგურით იხებს ფეხებსა“.
 აქეთ-იქით შემოხეცა, გადასწევს და დაამტვრევსა.
 ფეშტამლები! დაახივა, რაულ-რულს არ დაიწყებსა.
 გატეხა და გაღმოავლო: ფუ, გამჟღელ გაგებრესა!
 ამ ხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
 აიყარა ის შინელი, მალა ბალკონზე დადებსა.
 გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუვდებდა მხერბსა:
 „ვნახო როგორ მარგებს ესა?“
 რუსულ ჩეჩმებს ჩაიკვამდა, რუსულ შლაპას დაიდებსა;



მოღვა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა
 ყარაულებსა ჰგონით: „აგურით იხებს ფეხებსა“.

კარგში რომ გამოვიდა წინ დონიჯსაც გაივდებსა;
 შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანცია“;
 საუკეთა ყარაულებმა, არსენას გზა დაუღდესა.
 იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოიქრესა.
 პატარა გამოიარა, თან სიცოლი ატყუდესა.
 მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მეღროშესა:

1) ნარიყალის ციხე თფილისშია, სოლოლაქის ოვს, გვრეთ
 წოდებული ბოტანიური ბაღისკენ.

1) წინსაფარი არდაგი.



«ფოსტაზე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭერი რომელიც კირგი დროშკაა, ის არსენის მიაართავს. დაუჯდა ბივი არსენა, გაულდა დამოენის გზებზე.»

III

ქუმისის მთაზე გადაღვა, — ბივი მოულოდინი სიღვდრსა. არსენამ რომ დაინახა, თქვა: «ღღღღღ მოყვალუსა, ჩემი საქმე არის ესა!» თავდაბლა მოახსენებდა: «თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა; მე ტყვე ვარ გამობარული, არც მე მატკენს ფე ვებებსა». დახედა, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა: «გასწი იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა? ხელმოწიის გზაზე მიხვდები, — ეს კაცი არ გაგაიღვდესა!» მაშინ ჩვენი არსენაი კამეჩითა შეუბღვერსა: «მოგიბრუნდები, შემოგკრავ, სუ მუშტით დავგიმტვრევ ყბებსა!»

რალა ბევრი მოვახსენო, ხელი სტაცეს ერთმანეთსა. არსენა ლონჩირია, იმ ბივის ქვეშ წამოიღვდესა. ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყარფუხვითი დაბანევსა. დღაკაცი ეხვეწება: «ნუ მომიკლავ ჩემს სიძესა, მაგ ჩემ ვამოცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტყბილათ შეგარ-გებსა!»


ცხენიც იმას დაულოცა, ხურჯინსაც გაატანებსა. — დედა, დედა-შვილობასა, შენ ნუ დამიწყველი გზებსა!» ის დღაკაცი ლოცავდა: «ღმერთმა მშვილობა მოგცესა, სადაც წამბანდ-წამობნადე, არსენა ვაგიმარჯვდესა! მამოარს ართმე, მშვიერს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსა!»

პატარაზე გაიარა, ხურჯუნს ჩხრიკას დაუწყებსა: ცალ ხურჯინში ტიკჭორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძეგსა; ცალგნით ორი ჭათამია, ინდოური თავსა ძეგსა. დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზათ ქეფისა სწევსა. ერთი სომხითელი ბივი ქალაქ-სიქენ გამოსწევსა, ორი მნეთი აჩუქა, ორ სიტუკას დაბარებსა: «ესე უზახარი ქალაქში მიკიტენს და სირაჯებსა: არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მოლოდა დღესა. მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, — ღმერთი როგორ წაახდენსა?»

სადაც თათარს დაინახავს, ბურ და ვალსა¹ აძახებსა: სადაც ტიტველსა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა. ორ კვირად იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა: ერთი თუმანი აჩუქა, რაც რომ ნალი გაუცდევსა. ბებერიც ამას უთვლიდა; «ღმერთმა მშვილობა მოგცესა!» საპალოს ღუქანზე მივა, ფილაბეს ცხენს წარიმეცვსა: «თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა: მე ტყვე ვარ გამობარული და ქუბები ფეხებს მატკენსა!» მეჩინიბეს ეუბნება: «უნაგირი სადა ძეგსა?» — «უნაგირა და ლავამი ორთავე თავით უძევსა. ცხრა მოსარათეს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთ ვაგოგლეჯსა, ლიტრა² ადვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსა წაგართმევსა. — ბივი არსენა მოიკვდეს, თუ ცხენი ვაგომოვადღებსა!» გადაჯდა და გამოსწია, გამოუღვებდა მინდვრებსა. — ყაზახში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.

«ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოუშვებ ვერსა;»

იქიდანაც წამოვიდა და სომხთში გამოსწევსა. ორი თვის გამოსავლელი გამოირბინა ორ დღესა. იქ ჩავიდა ქიზიუშია, ნათლიმამას მიავენტესა. ბოღბისხევეში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა. ეს ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვესა მტერსა. მეტის-მეტის ჯავრისაგან ადიღზე აღარ დადგესა. ძმებსა კაცი გაუგზავნა: არსენა არ მამარჩენსა. მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადადებენ ხელსა: «გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გავციხედესა». — ვიღვრემ ფარსადანს არ მოეკლავ, გული როდი გამიძღვებსა.»



არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მოლოდა დღესა, მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, — ღმერთი როგორ წაახდენსა?

მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა. ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსტერსა; ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩაავტრესა, ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა: «თუკი არსენამ მოგასწრო, ცოცხლის როდი გაგიშვებსა!» ორი დღე უყარებოდა, თვლს კი ვერსად მოასწერესა, მესამე დღე გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა: «თოხმებტ წელს ყაჩაღთა ვარ, კაცის ცოდვა არა მძევსა, ესლა მოგკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამოწყდესა! გამობრძანდი, ნათლიდედაე!» ხელში მოჰკიდებდა ხელსა: «გამოუშვი ფარსადანი, არას ვერიხი არაფერსა; ვაპატივებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა, ფარსადანს მინც ეპ მოგკლავ, თუ ვინღ რომ წინ დამიხედესა!»

IV

ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სენიო;

იქ იყო მისი დღეობა, თითონაც ვიახელია. სუმბათოვიც იქ მომბანდა, ის ჩვენი ქალაქელია. სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმა ცხენია; კნენინებიც იქა ჰყვანდათ, ზედ გაღვებიათ ხელია. როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მადლი შენია, — რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია,

¹ ყარფუხუ — სახამართო.
² ლიტრა — ცხრა გირვანქანია.

იმ სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია, ქალაქში რო შარს მივადგინდი, ახლა ხო მოვაჯანყარია! მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელი! კნინა ეუბნებოდა: „შენი ჭირიმი, შენია!“ აიღე და გადაუადე ეგ ოხრათ დსაიჩინენია. თორემ ეგ არსენა არის, ვიცი ვამოგუკრა ყელია; სუტყველა ოხრად დაგარჩება დროსჴა და შენი ცხენია. მე ხომ არსენა წამოყვანს, შენ დარჩი ცარიელია“. შინლიანებ ვადლოუგდო აპელატები სქელია. წამაიფინე არსენამ, გამორბის როგორც შველია. მაკაროვს თავის ხმაზედა ააღებინა ხელია!

V

ორი კვირა თონეთს იყო, ქეთისაც ბევრსა სწევსა. გამეფელსა და გამაველსა სუტყველს ლინოს ასმევსა. მეორე კვირა გთავადა, ქალაქისკენ გამოსწევსა. მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა. ლმერთს უშველია არსენა ამიერთი განსაცდელსა. საცა მივა მიკიტანთან, ყველა დაუქნევენ ხელსა. ამოიღებს იმ ფულებსა, ტლო-ამხანავებს აძლევსა: „შასანდობელი დალიეთ, როცა არსენა მოკვდესა“. რაც იმას საქმე ეამბა, იმისან თქვენსა მტერსა: — „წუხელი ნინახე სიზმრში, სისხლში ვიღებამდი წვერსა. წრეულ მე ხო არ მოვრჩები, რაც რო უნდა გადაწყდესა ან თათარი მილაღატებს, ქართველი არ მომარჩენსა. ვერ დავსწვები აღდგომას, ვერ დავიპერწითელ კვერცხსა. თუ ძალათ არავინ მომკლა, ნებთი ვამოგუკრა ყელსა“. — რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ლმერთსა! თუთხმეტ წელს ყაჩაღათ დაღის, კაცის ცოდვა არ ამეცსა სადაც ტრტველსა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა.


VI

მაშინ ი ჩენი არსენა ზემო ქართლისაკენ გასწევსა. დიღმის სწორა რომ გავიდა, მიკიტნებმა დაათვრესა. ბევრიც ეი დააღვიინეს, ტიკში ბევრი ჩაუსხესა. მცხეთის პირდაპირ მივიდა, მუხათვერდში ქეთის სწევსა: ის რომ პურის ქამად დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა. იმ გიორგი კუპატუნელსა გამჩინელი გაუწყრესა, წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა. ამოუარა არსენას, გამარჯობას ეტყვის ერთსა: „გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, საღამით ხომ ეს იყვესა. „გიორგი, ლვინო მიირთვი, იმ შენი დედამისი მზესა“. გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის მზესა „ვა შე, საწყალო არსენა, რათა ხარ შკუა თხელია? მე დღეს ლვინოს როგორ დავეცე, — წითელი პარასკევია? თუ ეგრე ლვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“.

1) ვალი (ხმლისა) — ტარი.

ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია: „კაცად როდღია ჩამადგო, რაღა ბიჭობა ჩემი; ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შავიცვალო ფერია!“ გაავიგებულნი არსენა პირიდანა ჰყრიდა ცუცხლსა. წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა: „გიორგი, საით მიდიხარ? არსენა არ გაგიშვებსა? ან უნდა მამცა ფულით, ან შენი ცხენი დამრჩესა!“ გიორგი ეუბნებოდა:

„ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რომ მოკიდებდი ხელსა; ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა: ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“ მაშინ ჯავიდა არსენა, ხმაზედ მოისვიმდა ხელსა. პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუთი გადაკრა ცხენსა. ხმალი ვადაშა! გაღუტუნდა, ის ცარიელი დარჩესა. მაშინა თქვა არსენამ: „ღღეს მზე დაბნენდა ჩემია! ვახ, როგორ დროს მილაღატე, გავიწყრეს გამქედილია!“ შემოქუჩნა გიორგამ, მოსკრა მარჯვენა ხელია! დალონებული არსენა ცხენიდან გაღმოვარდესა. ცაქია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა; ცოტა კიდევ მიაწვდენდა ბარბაზედაც ხანჯლის წვერსა, ცალი ყური ჩამოთავა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა: „მერე გავიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ლმერთსა!“ ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა, იმ გიორგის კუპატუნელსა, — ბეჭებში ტამბახა დასცა, პირში ბოლი გავარდესა. დალონებული არსენა იწვეს და ვერ ადგესა: — „რახან რომეკალი, გიორგი, სიტყვა მიინც დამეკაღდესა; ჩემი შვიდასი თუშანი, კასპში ერთ დიდს კლდეში დღესა; ღარიბსა, არას მჭინებსა, მიეცეს და მოხპარდესა“. ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა. მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდან ცრემლი ჰყარესა. ზოგი წყალოში გამოვიდა, ზოგი ხილზე მოიბრუნესა. ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდგესა, გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუტყესა, მარმალილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადგესა!“



მარმალილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადგესა; „ჩაქც კვი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“





სივლარა პიტიულ ახხანაგვი.

ხარაოების სიმაღლეზე იდგნენ ისინი.
 მათი მარჯვენა მადლიანი სწრაფად ელავდა.
 ქვეითი პარიზი უდარდელი ხარბად ლელავდა.
 სასტიკი ქარი ტრიალებდა ავი სისინიდა.

იყვნენ ისინი სიღარიბის, შრომის შეილები.
 და ეცვით ტანზე დახეული მით ნალექებში.
 იყვნენ ორივე მთელი წლობით ნაშრომლები.
 ღიაჰ ცხოვრობენ დიდებულად შემოქმედები.

ძვირფას სასახლეს აშენებდნენ ახხანაგები,
 მაგრამ მოჰქონდა ქარს ზიანი და დაბრკოლება:
 სასტიკი არის მჭრელი ქარის გამოკრეფება:
 ხარაოს დაფებს იგი არხებს მეტ გაშვებებით.

კიდევ დაბერა. ყველაფერი ჩასცივდა ქვევით.
 და შეულისათვის ლავგარდანი დარჩა ნივინითი.
 იმას ორივე ჩახეხტა საოცარ რხევით,
 ისე, ვით ანძას ეხუტება მცურავი მკერივი.

ავი გრეგალი ვახლებით, კენესით გრიალებს.
 სიმამისადას ლავგარდანმა იწყო ნივარი.
 მუშების ქვეით თვით ქვეცქელის ფსკერი
 ტრიალებს.
 საკმაო არის მოძრაობა, რომ გადავარდე.

წარმოსთქვა ერთმა: ჩვენ საშველად არ მოვლენ
 ჩქარა,
 ჩვენ კი ორივე ვერ დავიქვითო თავს დიდი ხანი.
 იქნებ ლავგარდანს დავეჭრა ერთი ჩვევანი,
 ო, დაწყველილი! — ილუნება ის წარა-მარა!

უთხრა მეორემ: „მყავს ოჯახი:—მათი ბედია,
 მე რომ მანერებს“. და პირველი ამბობს იქვე:
 —მე კი ერთი ვარ, არჩევანი აქ ზედმეტია.
 აბა, მშვიდობით! თავი მაგრად შენ დიკავე!“

სთქვა და ერთ წუთში დაილუბა გმირულ ზვარაკათ
 ტალახში, ევაზე დაახეთქა თავი და გული.
 მისი სახელი არ გახმდარა სალაპარაკოთ,
 მაგრამ ის იყო ახხანაგი წმინდა, ერთგული.

იოანე შერა.

ნიუ-იორკის სურათები.

ზღის ლურჯ სივრცეში უეცრად წამოიჭრება უხარ-
 მბაროი რაღაც. ვერ გამოიკნობა მთებია თუ ერთმანეთზე
 შემხდარი კლდეები. ქვის ტანს მიტმანსენია კოლონების
 აჭრილი კოშკები, ფერდობები. ვადაჯვარდნილებულან
 გეომეტრიული ფიგურები. ყველაფერი ერთად წარმოად-
 გენს მოყვითალო და რუხეს, ზოგან წაშვევტილ და ზოგან-
 ბეჭვრიალა საშინელ ქაოსს. მაღლა კი—თეთრი კვაილი,
 ტურაჲ მისი მწვერვალებზე გადაკარგული ღრუბელთა
 ძეგლა.

ეს ქალაქ ნიუ-იორკის ქვემო ნაწილია, რომელიც
 პორტან მიხალოებისთანავე თვალწინ წამოგვეჭრებათ.
 შიანი ლეგებში შენობები თითქმის იწყვიან უამრავ ფან-
 ხარს თვალში. ბინდისას ისინი მსუბუქი, ჰეროვანი,
 აბა—რეალური, სვედიანი ხლებიან და აქა-იქ ინთებენ
 მსხვილ მარგალიტის თვლებს. დამით იგი შუა კარდონის
 ერთ უღიდეს კედლათ გემქნებნათ, რომელშიაც ათასობით
 გამოჭრილია ყვითელი, შიგნიდან განათებული ოთხკუთ-
 ხედი. და გვიანებათ კედელი ზღვისსაქენ იძვრისო.


გალხიბართ ნაპირზე და იმ წუთშივე მოაკვებით გა-
 მოკვამულთა ლავირინთოში, ხუთმეტრ-იქ სართქაანს
 სახლეს შუა ქუჩები ძალზე ეიწვრა, თითქმის ქვის ქაოს-
 ვილაკს გიგანტურ დანით დასეტრავს. თავს მაღლა სწევით
 მაგრამ შენობების თავს თვალთ ვერ სწევდება, რაც უფრო
 წინ იწევით, მით უფრო ვიახლოვდებიან სახლები, უფრო
 და უფრო მკვიდროთ ეკვერებიან ერთი მეორეს, უფრო მე-
 ტად იწყვიან ცისაკენ. არის რაღაც მრისხანება, შეუბ-
 არლებლობა, თითქმის სტიქიური რაღაც ბეტონის და
 ქვის ასეთ მძიმე შემოჭრევაში. თუნდაც მზე ანათებდეს,
 ქუჩები მხოლოდ ბინდშია.

აქ business-ის სამეფოა. აქაა უოლ—სტრიტ,
 ნასსუ-სტრიტ, ბირჯა. აქაა უღიდესი კონტორები, ბან-
 კები, ადვოკატების ფირმები. აქ საქმიან ნიუ-იორკის
 შუაგულია.

ნიუ-იორკის უმთავრესი ნაწილი მოთავსებულია
 კუნძულზე. კუნძული გრძელი, ვიწრო, ენის მზგავსია. სი-
 გრძით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოცდა ხუთი ვერს-
 ტია. ერთის მხრით კუნძულს ახლავს გულზონი და ორ
 სხვა მხრიდან—ოკეანე. გულზონის და ოკეანეს იქეთ გა-
 დაშლიან თვალუწვდენი გაიერ-უნებები, რომელთა თათე-
 ბი სულ შორს და შორს იწევენ. ძირითად ნაწილს—კუნ-
 ძულ მანგატანს—გასაქანი არსათი არა აქვს. ერთი გზაა
 ცისაკენ. და ამიტომაცაა ცისაკენ რომ იწყვენ მრავალ-
 სართულიანი შენობები.

რაც უფრო მეტს მიიწევთ სამხრეთისაკენ, სადაც
 საბაგოა, მით უფრო მაღლდებიან შენობები, ვიწროვდ-
 ბიან ქუჩები და უფრო სასტიკია შენობათა ძალა. აქ აღა-
 მინი სადღაც მიკარგულია. აქ მოძრაობაც მეოვე ხარის-
 ხივან რამედ ქვეულა. თორმეტსა და პირველ საათს შუა
 ქვის ლეგები გადმოაფურცხებენ მილიონი კაცუნებს, რომ-
 მელთაც საქმელით უნდა დასტენონ თავისი ფიზიოლო-
 გიური მოტორი. ქუჩა შვიად იღებება ამოღენა ხელით,
 ფეხით, ქელით, ტანით. ყველას ეჩქარება, თითოეუ მათ
 რაღაც დაუდგომელი მანქანა ამოძრავებს. ბორბლები
 ერთმანეთს ეხლებმა, ურთიერთში ითქვენება, აღამინთა
 ტალღა მოგორავს და კვლავ მიგორავს უკანვე. მაგრამ
 სასტიკ ლეგებისთვის ეს ათაფერს არ ნიშნავს. მეტრ-
 ნახევრის სიმაღლეზე მიწიდან ყველაფერი მშვიდად, მძი-
 მედ და შეურყვევლად. ქვის ტომობები ცოდობიან თა-
 ვიანთ პატიმრებს. ვაივლის ერთი საათი—და ყველა ისე-
 ვე თავის ალაგებს, ურაკუნებს საწერ მანქანებს, ლაპარა-
 კობს ტელეფონით, აწარმოებს საბუჯალტერო წიგნებს.
 ხუთ საათზე იკვივ ბრბო ისევე გამოღინდება იმავე ქვის
 ტომობებთან. ახლა კაცუნებს ვარბიან ტრამვაიებს ავტო-
 ბუსებს, მიწის ქვეშა გზისაკენ, ეშურებთან საპაერო გზებს,
 გემებს. ვარბიან თითქმის ვილაღ მათარახს სცემს. ქვის

თანამედროვე ნიუ-იორკი.



ფის-ავენსო, ნიუ-იორკის მთავარი ქუჩა.

დევები წამამებს ჩამოშვებენ, წელში გასწორდებიან და ისევ მისცემიან გაქვავებულ ფიქრებს.

*

მანგატანი—კუნძულია. სამხრეთ ნაწილში, სწორკუთხედზე სიგრძით ოთხ ვერსტით და $1/2$ ვერსტი სიგანით, თავი მოუყრია უმთავრეს ნავთსადგურებს, ქარხნებს, სანაოსნოებს, ჰოტელებს, ფირმებს, უნივერსალურ მალაზიებს, რედაქციებს, სანამართლოებს, მუნიციპალურ გამგეობას, ბანკებს. აქ ამ სწორკუთხედში, მუშაობს შეიღმილიონიან ნიუ-იორკის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ნაწილი. დილით, შვიდიდან ცხრა სათამდე ყველა ეს მუშაქანი ქალაქის ჩრდილო ნაწილიდან და გარეუბნიდან აქ უნდა დაგროვდნენ. საღამოს ხუთიდან ექვსამდე მთელი მასსა სახლისაკენ მიეშურება. რაღაც საათ-საათ-ნახევარში ქალაქის ტრანსპორტმა მილიონები უნდა გადასიღონ.

ჩადით ქვევით, ქვესენელში, „სობვის“ (მიწის ქვეშა რკინის გზის) სადგურზე. უდიდესი არე დაბალი ჭერი-ოდნავ ბუტყვენ ლამპები. პერრონი გაშავებულია ხალხით, ხალხში ვერ გახვალთ. პერრონი გრძელია—შეიდევანიან მატარებლისთვის საკმარისი. ხალხი კიდესთანაა ლიანდაგს ეყვრის. უქნიდან აწევება ახალი ბრბოები. უზარმაზარი დარაჯები იცავენ წესრიგს. რკინით, ტყვიით და მტვერით გამსჭვალული ჰაერი სქლდ იზნიქება. აი პერრონი ამაგაგადა. ველუისი ბაფივით, გრავინვით, ყურთა სმენის დახშობით და ასფუოიან რკინების თავზე მტრევეით, შემოვარდა, მატარებელი. გაჩრდა. დაიჭრია-ლა კარგმა. შებრძანდით! მაგრამ ვაგონები სავსეა. სკამები დაკავებულია, ზურგი—ზურგზე, მხარი მხართან. აღმაიანის ტანის გაუთავებელი მასა. შეუძლებელია ხელის მოძრაობაჲ კი. ვერ-მოტრიალდები. როგორ შე-


ვალ? ხალხი მინც კარებს აწევება. მგზავრთა ლეგიონებში კიდევ შემოიჭრა ახალი ბრბო. უქნიდან აწევებიან გოლიათი—დარაჯები. ჩქარა! მზათაა. იხურება კარები. ვიძრით ადგილიდან. მატარებელი ტონელში იმალება. ნახევარ წმის შემდეგ მეორე მატარებელი იქნება, ერთ წამის შემდეგ—მესამე და ასე. თუ თქვენ გყოფნით მოთინებება, აიღეთ ჩქარზე კი არა, სამგზავროზე. ჩქარი ყოველ მეხუთე სადგურზე ჩერდება, სამგზავრო კი—ყოველ სადგურზე. მაგრამ არც ერთი პატროსანი ამერიკელი არ ჩაჯდება სამგზავრო მატარებელში. როგორ შეიძლება მან რომ სამი წუთი დაჰკარგოს.

გუჟუნებს მიწის—ქვეშა მატარებელი, ბრბო აწევება, აღამიანები ოფლში ცურაობენ, მგზავრი ვაგონის ქამარს ჩამოჰკიდებია. მიწის ზედა პირზე, სპაერო გზის სადგურებზეც იფივე ვიწროობა, ხმაური, რკინის ყვირილი, ლითონის კენესა. ბრბო მდინარეების. შავ ლენტებით მოდებულან მთავარ ქუჩებზე, ერთის ყოფით სხდებიან ტრამვაიში და ავსებენ ვაგონებს, დაკიდულან ბაქანზე, ერთმანეთის სახეში აორთქლებენ ცუდათ გადახარულ იათ საქმელს, შესცქერიან ერთი მეორეს გამოიმეტყველებს—დაკარგულ თვალებით.

ქალაქი კი ხნებს იძლევა, როგორც გიგანტური დაბადები. მიწა იძვრის, როცა მასში მიდის „სობვი“. კანკალეს ბოძები, რომლებზედაც გაყვანილია საპერო გზის ლიანდაგი. კანკალეებენ სახლები, რომელთა სიახლოვეს ვადის ჰაერის მატარებელი. კანკალეს ქვა-ფენილი დაფლდვარ, მქმინვე ავტომობილებისაგან. კანკალეს ბარის მოტრთა მართვისაგან. კანკალეებენ ქვა-ფენილები ბარის სიმძიმისაგან. კანკალეებენ და თრთიან ელექტრონის მავთულეები. ყოველის ნერვით და ატომით თრთის ყოველი ცოცხალი არსები. საყვირების, ზარების ხმა ჰკლევს ჰაერს, გრავინავს მატარებელი, ავტობურები, ფურგონები, საბარ-



თანამედროვე ნიუ-იორკი



ღამით, ნიუ-იორკის ერთი მთავარი ქუჩათაგანი.

გი ავტომობილები. გემების სირენები დღე და ღამე, უწყვეტ ღროს არღვევენ სიჩუმეს მანგატანის ყოველი მხრიდან. კანკალებს გულზონის წყლები, ჰვენიესენ ოკეანეს წყლები უთვალავ ზღვის საშინელებათა ბორბლებს ქვეშ.

* * *
სული კი სთვლემს. იგი ლეტარგიულ უმოძრაობაში ჩაძირულა. სული რომ წყალქვეშა კლდეებთან უძირი ზღვის შევადარათ—მაშინ ნიუ-იორკის სული უთოდ ვეებერთელა ცემენტის ძირიანი ალზია. სული რომ გაქანებულ მთათა ზურგად წარმოვიდგინოთ მის მშვენიერ ჩანჩქერთა ხმაურით—მაშინ ნიუ-იორკის სული საშუალო სწორი და გაუთოებელი პლატაა. უმეტაფროოდ რომ ესთქვათ (თუმცა როგორ შეიძლება უმეტაფროოდ ლაპარაკი იმაზე, რასაც სულს ეძახიან) ნიუ-იორკს არ შეუძლია ღრმა მწუხარების ან სხივისან სიხარულის განცდა. იგი მოკლებულია გულ-ლია სიცილს, გახარებულ შემოქმედებას, გაცოფებულ ძიებას, იქებებისმწველ ტანჯვას. მას ვერ წარმოუდგენია გაბედულ ალტაკებით ავიდეს იქ, სადაც ყოველივე მიწიერი იჩრდილება დიად აზროვნების სივრცეში. ნიუ-იორკის სული რომ ისე მრავალფეროვანი და ძლიერი იყოს როგორცაა მისი მრავალსართულიანია სახლები, მაშინ იგი შესძლებდა კაცობრიობისათვის ახალი აღთქმის მიცემას. მაგრამ ნიუ-იორკის სული ამაყად ამართლი შენობა კი არა, ორსართულიანი სადგომი სახლია.

აბიან ამერიკაში ასეთი ტიპის სადგომი სახლები. ქუჩიდან ათი კიბის თვალის პირველ სართულსაცენ. ქუჩიდანვე ორი კიბის თვალის ქვემოდ სარდაფისაკენ. სარდაფის სართულში წინ მოთავსებულია მისაღები ოთახი, უკან—ხამზარეულო, სამზარეულოდან გასასვლელია პატარა ეზოში. პირველ სართულში წინ მისაღები ოთახია, უკან პატარა დარბაზი დერეფანზე გასასვლელ კარით. მეორე სართულში ორი თუ სამი დასაძინებელი ოთახია ფანჯრებით ეზოში და ქუჩისაკენ. ამერიკაში, ყველაგან

ნიუ-იორკში და პროვინციაში ასი-ათისობითაა ასეთი სახლები. ასეთი პატარა სახლები უფრო დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკისათვის ვიდრე მრავალსართულიანი სახლები. ეს სახლები—განსახიერებელი ზომიერებაა. ისინი შეიძლება იყოს ქვითკირის ან ხის, ღარიბი ან მდიდრული, დიდი ან პატარა, მაგრამ მისი არქიტექტურა უცვლელია. მასში შეიძლება იდგეს სულ-იავი ან დიდებული ავეჯი, მაგრამ ყოველთვის იგი იქნება ერთნაირ სტილის: სავარძლები, ისე როგორც საქანელა სკამები, პაწია ნიხები, ფარდები დი სხვა. ასეთ სახლში შეიძლება მდიდარიც ცხოვრობდეს და საშუალო შემოსავლიანი მუშაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა დღის წესრიგი, ზნე-ჩვეულება, საქმელი, ტანისამოში, გართობა და აივანზე დანიშნულ დროს დასვენება. ასეთია ცხოვრების შეუცვლელი კოდექსი, ტრადიცია.

იგივე პატარა სადგომი სახლი, ქარხნის ნაწარმოების დავით და აივანზე ჭორიკანა ბიკოლები—აი როგორია დიად ნიუ-იორკის სული, ზოიერება, იფობა, შიში ჩვეულების დარღვევისა, დავარცხნილი დღეები. სწერს ასი და ათასი რომანისტი, პოეტი სწერს სასიამოვნოდ, ხებიანიანდ, მაგრამ მათი გემოვნება ისეთივეა, როგორც ხუთ(ეტიანი) საღეკი ტბილელული, რომელსაც აუცილებლად მოვარბმევენ კაჯ ამერიკელის სახლში. მხატვრები უთვალავ ტლოებს აფენენ,—აკვარელს, ესკიზებს მაგრამ ფანტაზიას ღამეც არ გაუთევივან მათში და ყველაფერში—იქნება ეს ნატურალიზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი თუ კონსტრუქტივიზმი მომეტებული სისხლნაკლებობაა. აურბებელი პროფესორი და სტუდენტი ქმნიან შეცნიერებას და ითვისებენ მას, მაგრამ არავითარ თორთოლის, კემპარიტების ძიების ან დიად ბოძოლის ნასახსც ევერ იპოვიენ მათში ისინი მუშაობენ ისევე, როგორც ნიუ-იორკის აუარბებელი მკერავი ამზადებს შარვლებს და სერთუყებს. ამერიკელები განიცდიან სიყვარულს, სიძულვილსც, შეზარბიან ცხოვრებას, ბერდუ-



ბიან და იხორცილებინ, მაგრამ — ყოველივეს ზომიერად, ნახე-
ვარ-ვერწოკიან შტამპით. მათი ღმერთიც კი — იგივე
პატარა სადღომი სახლია, სადაც შეესვლამდე ფეხი უნდა
გაიწმინდოთ პატარა კორიდორში.

ნიუ-იორკში შვიდი მილიანი სხვა და სხვა ეროვნე-
ბის და სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხია. ქვეყნის
ყოველი კუთხის გემი მიდის ნიუ-იორკში მაგრამ, ამა
გაზედელი უფესსახვევოდ ქუჩაში ვასვლა და ვეფინი ისე
დაგიწყებენ ცქერას, როგორც სამხეცკედან გამოპარულ
მაიშუნს. ან და სინჯეთ 15 ენკენისთვის შემდეგ ზაფხუ-
ლის ჟეიდის ტარება: პირველ შემხვედრს შეუძლია ჯო-
ხით დადავაცლოს იგი. სთქვით რამე დაწვესელად ჩვეულე-
ბის წინააღმდეგ — თქვენ თავზე დაგცივდება მორიელიები.

ნიუ-იორკი სასტიკია. ვინც შპალონს ვერ ეგუება
მოსკოვბინა უნდა იქნას. პატარა სადგომ სახლის გაბარ-
თულ ბაღში დიდ ასწლოვან მუხისთვის ადგილი არაა.
აქ „ბოლშევიკი“ მარტო ის კი არა ვინც არსებულ წეს-
წყობილების დამოხმას ქადაგებს, არამედ ისიც ვინც სხვა
ნაირად იკრებს თმას და ცოტათი ხმა მაღლა ლაპარაკობს.

ვაქრობა-მრეწველობისთვის და საფინანსო კაპიტა-
ლისთვის არსებობს მრავალსართულიანი სახლები, ლუ სუი-
სათვის კი — ავტომობილი, რომელშიაც ჩააგდებ თუჯის მუჭ-
რიანს და მიიღებ ტკბილ საღებველას. ერთი საათიც
რომ ღეჭო ნაჭერი უტყველო ჩრება.

* *

ღამით ბროდუი ფერია-ზღაპრად იქცევა.
ბროდუი — დიაგონალად სჭრის კუნძულ მანგატონს
ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.
ზემო ნაწილით იგი ეყრდნობა მე-252 ქუჩას და —
ქვემოთ კი — ნავთსადგურს. ბროდუი — მრავალ-სახიანი
და მრავალფერაინია. ქვემოთ — გემთა კონტროლები, საწ-
ყობები და საბაჟოებია, ზევით — საფინანსო და სავაჭრო
ფირმები. კიდევ უფრო მაღლა — სამეცნიერო სახელის-
ნოები. შემდეგ — ტრანსამისის, ფესსახველების, ქუდების
მალაზია. და რესტორანები. რესტორანებს უჭირავთ მთე-
ლი უბნები. ოცდამეთოთხმეტე ქუჩიდან ორმოცდამეცხედ-
მეტემდე — თეატრებია. მთელი უბნები ვაგებულაია ჩამწ-
კივებულ თეატრებით. აქ, „ღდი თეირა გზაზე“ მხიარუ-
ლობს საღამოს ნიუ-იორკი.

გზა თეთრი კი არა, უფრო ოქროსია. საღამოს აქეთ
მომდინარეობს მილიონიანი მასა. კაპიტალს უსარგებლე-
ბია ამ ადგილით, რათა აღიბეჭდოს თქვენს მესსიერებაში
საქონლის სახელები.

ბროდუის თეატრალური ნაწილი — ანონსების ცეკ-
ვაა. სახლების სახურავები აჭრელეხულია ელექტროს
ასოებით. სასახლეს მზავეს სახლების წინაპირზე ანთებუ-
ლია ელექტროს სურათები, პორტრეტები, ვენზულები.
აგრან ფერად ლამპებით ასახული მთლიანი ნახატებიც.
გრინგენებ მთელ მოქმედებებს, რომელიც გაითამაშებს
უეცარ ცვლაში ანთებული და დაქრობილი ლამპები, აქა
ცეცხლის ყველა ფორმა, კომბინაცია და თანდათან გა-

დასვლა. ყოველივე კი ერთათ აღებული — სინათლის ვაკ-
ხანალია, ანთებულ ფერადების აღვირაშვებული ქროლვა,
ამზობებულ ნაპერწკალთა ზეიმია, აურსხელ პლანეტათა
შეგახებება. შორიანდ რომ ვახედოთ სინათს — დიდი ზეიმი
გვეგონებათ. ბენდინერი ადამიანები სინათლის თამაშს შეჰ-
ხარაინო. გვეგონებათ მოჯადოებულ, ზღაპრულ ქვეყანაში
ხარ, სადაც ადამიანების ათასფეროვან ცეცხლთა ერთ
ესაუბრებიან ერთმანეთს. და ნამდვილად კი ყოველივე
ეს ნიშნავს: „მოსწიეთ თამბაქო ბულლ ღურგამ“; „ღეჭეთ
სალეკი პასტა ურნელი“; „ყველაფერი იყიდეთ მასთან“;
„არაა მინერალავაზე უკეთესი კრემი“; „საუკეთესო გაზო-
ლინი სოკონისაა“; „პომერენდის ავტომობილებმა აიღეს
რეკორდი“; „ნათეატრებს შეიხედეთ ცეკვა-თამაშის ქე-
ყანაში“.

იქვის, ხტის, ყვირის, იკრიხება ელექტროს რეკლა-
მა. დაბლა, ქუჩებში თითქოს პროექტორით განათებუ-
ლი ადამიანები მიისწრაფვიან თეატრებში, კინოში, ვო-
დევილში. სანახაობის ყველა სახლები სავსეა. ყოველთვის
ნაკლებობაა ბილიების. ზოგ კინოში რიგს საათი ან საათ
ნახევარი უნდა უტადოთ. ყველა სდგას და უტდის როდის
გაიღებ აუთქმული კარები.

სანახაობა შექმნილია იმისთვის, რომ გაეპარო მრ-
ვალ სართულიან ღვევებს, გაეპარო საკუთარ თავს. არაა
საჭირო არც პირადი, არც საზოგადოებრივი ქეშმარტე-
ბა. შორს ცხოვრობის ტრადიკული სახე, რად ღმრდათ ის,
რაც გულს დაკოდავს: გვაჩვენებ ისეთი რამე სადაც. მი-
ღრები ნაზი გულისაა სათნოებით სავსე, სადაც ლატაკებს
უყვარს ისინი.

მოგვეციოთ დამამშვიდებელი რამ, სადაც ქურდი და
მკვლელი სწორადებიან სარწმუნოების ან კეთილ სულთა
გაგულგნის ქვეშ. მოგვეციოთ სასაცილო რამე, სადაც სას-
ტუმბოში მცხოვრები ღამით სხვის ნომერში შევა ან
მთვრალი ვანაში წვიება დასაძინებლად.

მოგვეციოთ მხატვრული ნაწარმოები, სადაც ცხოვრე-
ბის ხანის ნაცვლად ფოტოგრაფიაა და — ბუკყრიალება
ნიშნავს სილამაზეს. მოგვეციოთ უპირველესად უმნიშვნე-
ლო რამე, რასაც არ უნდა ფიქრი. ადამიანი დიდილია.
ხვალ ისევე კანტორას უნდა მიაშურის. ყოველ ღღე კონ-
ტორაში. ღღე სანახაობაში შეუხიციონოს, დააძინოს, ტკბილ
ბურთულში გახვიოს.

ღამის თერთმეტ და თორმეტ საათს შუა ბროდუი
კვლავ გადაშვებულია. მიღიან სახლში ან კათე-რესტორან-
ში. აწვის რაკლამების ცეცხლი. გიყვება სინათლე. გუ-
გუნებენ გემის იალქნები. ხუთი წუთის სიარულს შემდეგ
შავი გულზონია კატერთა და ორთქლის ბორანის სხივე-
ბით. სამხრეთისკენ — ერთთაში კედლით სდგანან ქვის
ღვები, ღამის საათებში დაყრუებული და თითქოს საზეი-
მოდ გამაღებულნი.

მაღე კაცუნები მიიმაღლებიან თავიანთ ბენებში,
რომ ხვალ ისევე გაავსონ ქვის ღვეების ქვის გალიები.

ფანტასტიური პაეზანი.

გააღებს კარებს მალაელი სოველი ხელით;
— დღეს ჩემ ოცნებას ის მორჩილად ემსახურება—
ჩემ ოთახს ბურავს სურნელმა წარსული, ძველი,
და ჩემი სული მირაჟებით დაიხურება.

დარბაისელი ის კარებთან სდგას მომომიპარე,
და თეთრი თვალით მე მიყურებს მინც თაღლითათ;
არ ვიცი რა სურს; ეს ცხოვრება გავასიზმარეთ...
დღეს მის ოცნებას მე არ ვიცი, თუ რა დადლიათ.

სათის ნელი, ულმობელი, ცივი ხმაური;
ორი ლანდება დაღმართებით გადმოჩხილი.
და მოლოდინი დღეს პირველი და უცნაური
და მთვარის შუქი შემოჭრილი მაცდურ გრეხილათ.

დიდი ხანია მპირდებიან სათუთ პავმანს;
ბევრმა ვადებმა გაიარა და მე ვლონდები;
ვის სურს აქ მოსვლა, შებრალება არ ეპოება.
უხსოვარ დროთა გარდასვლაში ვის ვაგონდები?

ახლა ჩემ სმენას შლივჭების შრიალი ბურავს
და ოთახს ავსებს სურნელმა, ცისფრათ ნაფერი.
ის განდევნილი ყორანის ფრთას გადამახურავს.
მესმის გალობა ვარსკვლავებით გადმონაბერი.

მიახლოვდება; თვალის უკეს დამბლადაცემულს
ამიწვეს ნელა ცივი ხელით და მომიმება:
„იხილავ სახეს სიკვდილისგან გამოტაცებულს,
შენ ბავშურ დარდებს მისი ცრემლი გადაესხმება“.

სათი მიმიე, ულმობელი, ნელი შრიალი
ლიბრედი შუშა, თეთრი თვალი გადმონთხეული;
მკეპარი სხეული მოღუნული, ვით მორიალი,
და ჩემი ტანი დამწვარი და ნაცრად ქცეული.

კოლაუ ნადირაძე.

ალექსანდრა ყაზბევი

(მოგონება)

საკვირველია ჩვენი მწერლობის საქმე, უნდათ რითიმე გამოიჩინონ თავი, დასწერენ იმისთანა უცნაურს ამბავსა, რომელიც ქვეყანას აალაპარაკებს.

აი მეც ამალბინეს ხელში კალამი, რომ ორიოდღე სიტყვა ვსთქვა სანდრო ყაზბეგზე.

ერთმა სპარსელმა მეცნიერმა თურმე სთქვა: ადამიანს შეუძლიან გაითქვას სახელი გამოჩენილი მწერლის და გამოჩენილს დამნაშავეისო. ეს მაგონებს მიხ. ზანდუკელს რომელმაც მთელი წიგნი დასწერა იმის შესახებ, რომ ალ. ყაზბეგის კალამს არ ეკუთვნის მისი სახელით გამოცემული დიდებული მოთხრობები, არამედ ეკუთვნის დიმიტრი ყაზბეგსა, რომლის ნაწერები, როცა იგი გარდაიცვალა 1880 წელს თებერვალში, ალ. ყაზბეგმა იფრ ხელ-

შო. მე არ მსურს ამ წიგნის გაკრიტიკებას გამოვეცილი; საკმაოდ კარვად ვააშუქა ზანდუკელის ყალბი აზრი ვახტანგ კოტეტიშვილმა

მე ვიტყვი მხოლოდ შემდეგს:

მე ძალიან დაახლოვებული ვიყავი და მეგობრულად ვიცნობდი სანდრო ყაზბეგს როგორც ახალგაზღვრებაში, ისე უკანასკნელ დროს. 1880 წლებში სანდრო ყაზბეგი იდგა პლენანოვის ქუჩაზე, სომხების ეკლესიის გვერდით, ზარათიშვილს სახლებში, სადაც საცხოვრებელი ნომრები იყო გამართული. აქ სანდროს ერთი ნომერი ეჭირა. მე და ასიკო ცაგარელი, ჩვენი დრამატურგი, თითქმის ყოველ დღე დავდიოდით სანდროსთან. სანდრო გვიცითხვდა ხოლმე თავისს ლექსებს, ასიკო უძებდა მე. კი უწუ-



ნები. არ უფარგოდა ლექსი, ხორკლიანი იყო, ლექსად არ იყო შეყრული, არც რომიმპ, არც აზრი. გზაში ვერც-ყოლი ხომღე ასიკოს: „ბოჭო, არა გცხვენინა, რომ იმ უხერიაო ლექსებს უწონებ?“ ასიკო მეტყოდა: „სანდროს ერთი საბლოს ძელის ხანჯალი აქვს, ოქროს ჩუქურთმისანი, მინდა ის დავეცოლოვო?“

ერთხელ სანდრომ მორცხვამ გვითხრა: მოხვევებზე მაქვს დაწერილი წერილები, ჯერ კი სულ არა მაქვს დათავებული, წაგვიკითხათო.

წაგვიკითხა, მოგვეწონა. დააბეჭდინე, ჩვენი ხალხი გაიცნობს თავის თანამომხმე მოხვევების ცხოვრებას, ძალიან საინტერესო იქნება.

მიუტანა „დროების“ რედაქტორს ს. მესხთან, რომელსაც მოუწონა და რამდენიმე ფელეტონებად დაიბეჭდა 1880 წლის „დროება“-ში № 56-დან.

ერთხელ მარტაკა წამოვიდა სანდროსთან. სასამართლოს ბოჭაქულს აუწყურია ნომრების პატრონის ვალში მთელი მისი ქონება; სანდრო გაფითრებული იდგა. მაშინვე დავიბაზრე ნომრების პატრონი, მივეცი ჩემი საკუთარი ფული ხუთი თუმანი, დანარჩენი ცხრა თუმანის, (სულ თოთხმეტი თუმანი დასდებოდა), მართათ ჩამოვათმეინე, მე შევპირდი: ამ ფულსაც მალე მოგცემთ და ყაზბეგს სხვა ბინაზედ გადავიყვანებ, მხოლოდ ნივთები გაანათავისუფლები. გადავმინჯე აწერილი ნივთები მთლად და აღმოჩნდა: ექვსი თუ შვიდი შექსპირის ნაწერები, რუსის მწერლებისა რამდენიმე წიგნი, თავისი ნაწერები—სამი თუ ოთხი პატარა რვეულით თავის ლექსებისა. სანდრომ მაგიდის უჯრიდან ამოაღა სხვა და სხვა პირთა და თავისი დედის წერილები, რომელთაც ფაქიზად ინახავდა; ყველა ძვინი შემაკვრევინა, ერთი ყუთი ჰქონდა, იმაში ჩამალავებინა და მე მომბაძრა. იყო კიდევ ჩამადანი, რომელშიაც ცლაგა სანდროს საცულები, ჩოხა-ახალუხი და სხვა ტანსაცმელი. ეს ყუთი წივანებით და მისი ნაწერები თუ წაშოვილი და სტამბაში შევინახე.

თუ მართლაც, როგორც ბმანებს მიხ. ზანდუკელი, სანდრო ყაზბეგმა გასტეხა დიმი. ყაზბეგის განჯინა, გამოაღა მისი ნაწერები და მიითვისა, სად წაიღო? ბოჭაქულსაც აწერილი ქაღალდები და წივანები ის იმოდრე მზამზარეული მოთხრობებზე ხომ უნდა ყოფილიყო? უბნეში და ჯიბეებში ხომ ვერ დამალავდა მოთხრობებსა? სხვა ბინა კი იმ ნომრის მეტე ბი არა ჰქონდა.

რედაქციის უამბე სანდროს ვაჭარებდა. მითხრეს, აქვე ახლოს სდგას გიგო ყარანგოზიშვილი, შეიძლება თავისთან ვადაიყვანოსო. გიგო დაყაუღდა; მიუტანეთ ნომრის პატრონი დანარჩენი ფულიც და სანდრო თავის ჩამადნით, რომელზედა ზემოდ ცსოჭვი, ვადმოვიყვანე ყარანგოზიშვილთან. მაგრამ ყარანგოზიშვილი მალე ვადგა იმ სახლიდან; სანდროს-კი სად ჰქონდა შეძლება თვით ეძლია ქტრა. მაშინ მიუხერხებო ბინა „დროების“ რედაქციისაში, რომელიც იმ დროს იყო რუსთაველის პრუსსეტზე, მუხრან-ბატონის სახლებში (შემდგე მონთაშევისა). ოთახი პაწია იყო, მაგრამ რა გავწყობოდა. აი აქედან იწყობა მისი გამბედებული ლიტერატურული მუშაობა.

1880 წ. დაიბეჭდა „მოხვევები და მათი ცხოვრება“.

1881 წლის ივნისის 18-დან დაიწყო ბეჭედა „ელგუასი“ „დროებაში“. ივნისში დაიბეჭდა რვა ფელეტონი; 18 ივლისიდან სექტემბრამდე ბეჭედა შესწყობტა, ინა-

იდან სანდრო ქართულ დასთან, როგორც მსახიობი, წასულიყო საგასტროლოდ. ენკენისთვიად ვინაგრობ ბეჭედა და წლის დამლევაამდე დაიბეჭდა თერამეტი ფელეტონი.

1882 წ. დაიწყო ბეჭედა „დროებაში“ „მამის მკვლელი“ ს. იანგვის ათიდან მამის გასვლამდე დაიბეჭდა ოცდა ორი ფელეტონი. მაისიდან ენკენისთვიამდე შესწყობტა, ვინაიდან ისევ საგასტროლოდ წავიდა. ენკენისთვიად კვლავ შეუდგა წერას და წლის გასვლამდე დაიბეჭდა ოცდა სამი ფელეტონი. ამ წელშივე დაიბეჭდა მისი წერის მოთხრობები: „ჩინოვანი ელურთის“ № 238, 239, „ელბერე“ № 248, 250, 252, „მწყემსის მოვონება“ № 268, 271 „ციციკა, ფატი, სტენა, და ერთი საწყუხარო შემიხივება“ (ქუთაისიდან).

სად და როგორ სწერდა სანდრო ყაზბეგი. სანდრო სწერდა შიგ „დროების“ რედაქციისაში, მთელი რედაქციის შემადგენლობის წინაშე. იყენებ ხოლმე თითქმის დღიან; თვით სერგო მესხი და მისი მეუღლე კეკე (ჩემი, დიდი) აკაკი, პ. ურეკაშვილი, ასიკო (კვარაული, პოტიკი სოსიკო ბაქრაძე, თუმანიშვილი, ა. ლუაძე, მე და კიდევ სხვებიც. სწორედ იმდროს როცა აკაკი კითხულობდა ხოლმე თავის მოსწრებულ, მახვილ ფელეტონებს, მსმენლნი მხიარულბდნენ, იმ დროს სანდრო ყაზბეგი წაქუხული იჯდა, წინ ეწყო „ელგუასი“, ან „მამის მკვლელის“ წინა ფელეტონები, გაგძელებას სწერდა ხოლმე და იქვე გადასცემდა ს. მესხს. ამ მუშაობის შემდეგ მთელი რედაქციის შემადგენლობა სანდროთი მივილიოთი აღექვანდრეს ბაღში და შეინდგის პავლიონში.

ამიტომ, ჩემის დილა რწმენით, ის აზრი ზანდუკელისა, ვითომ სანდრო ჩვენს ჩუმათ სწერდა დიმი. ყაზბეგის ხელნაწერებიდან, სრული ცილისწამებაა. დღეს, საწყუხაროდ, „დროების“ რედაქციის ძველი შემადგენლობიდან დავჩერი მე და ჩემი და კეკე, ს. მესხის მეუღლე, ჩვენ ვართ მოწყმენი, რომ სანდრო ჩვენთან სწერდა „ელგუასი, მამის მკვლელს“ და სხვა მოთხრობებსა, რომ აღ. ყაზბეგს არა ვითოვინე სხვა ნაწერები თავისი, ანუ სხვა წინ არ ეწყობ; ჩვენ, როგორც ცსოჭვი ეწყობ ხოლმე წინანდელი ფელეტონები. ვიმეორებ, იმ ნაწერების ვარადა, რომელიც მე ყუთში ჩავალავე სხვა იმის ბეღობაზე არა მოიპოვებოდა რა.

შექსპირზედაც ამბობდნენ, რომ მას არ შეეძლო იმისთანა დიღებულო ღრამ-ტარადილების ცქქმნა, ვინაიდან იგი არ იყო ვითომ განთავარიებული, კულეს ცხოვრებას ატარებდა, ყველა მისი ნაწერები თანამედროვე ფილოსოფოს ბეკონს ეკუთვნისო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. ჩვენ რუსთაველზედაც სოქავ იფანე ჯაბაძარბა, პროდნ. მ. მარტის მიხედვით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველს ვადმოქართულბებული აქვს სპარსული ამბიდანაო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაასბუთეს. მასხივს, როცა იფ. ჯაბაძარის აზრი წაიკითხა მოხუცთ პ. მელიქშველიაროვმა, რომელიც სპარსული დაღბანს იყო რუსების წარმომადგენლად, გაიკვირა. იგი დაახლოებებით იცნობდა სპარსულ ლიტერატურას, საუსუხოვოდ იცოდა სპარსული. ის მწერალი, მითხრა მან, ენსაგეც ვითომ შოთა რუსთაველმა ისარგებლა, ცხოვრობდა მეფისსმეტე საუენუნში და აქებ. და შიხინ-შახსა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ კი დაიწერა მეთორმეტე საუენუნში.

დავანებოთ ამას თავი. საქმე იმაშია, რომ დიმი.

ყაზბეგს ჰყავდა ძალიან გავგებული ძმები და დები, მგ. გიორგი, ფილო, ვანო, ლიზა, ოლია, ელენე; თუ ეკვი იყო, რომ ის მოთხრობები იყო დიმიტრი ყაზბეგისა, რატომ ერთხელ ერთი მათგანი მიანიც არ მივიდა რედაქციაში და არ განცხადდა, რომ ეგ ნაწერები სანდროსი კი არაა, არაბულ დიმიტრისა. მე ფილო ყაზბეგთან ძალიან დაახლოვებული ვიყავ, ხშირად დავიარეობით სანდორად, ლაპარაკიც ბევრჯელ ჩამოვკარდნია სანდროზე, მაგრამ არა ფითარი ეკვი ფილო ყაზბეგს, დიმიტრის ძმას, არ გამოუშუქავს.

მე ლიზა ყაზბეგთან მქონდა ამ საგანზედ ლაპარაკი, იმან გამოსთქვა აზრი, რომ სანდროს არ შეეძლო იმისთანა მოთხრობების წერა, რომ იგი დიმიტრისაა, სწორედ ისეთი აზრი გამოსთქვა, რაც დღეს მის. ზანდუკლმა, მე უპასუხე, ეგ შენი ეკვი „დროების“ რედაქციას რომ გაუშეხოლო, სიცილად არ ეყუფათ-მეთქი. ძალიან გამიწყრა ლიზა ყაზბეგი და ერთ წელსწადს უძარბით მადგა. ლიზა ყაზბეგი რომ მართლა დარწმუნებული ყოფილიყო თავის ნათქვამში, იგი ისეთი ადამიანი იყო რომ, მიეღს ქვეყანას

გადააბრუნებდა და ააყაყანებდა, არა თუ მარტო „დროების“ რედაქციას.

მიწუად მომიყავს კიდევ ძველი ასოთ-ამწყობები ზაქარია რუსიშვილი, რომელიც ცხოვრობს სოლოლაკში. აი ამინაც იცის, როგორ სწერდა და მუშაობდა სანდრო ყაზბეგი. ერთხელ თურმე ასოთ-ამწყობებმა უთხრეს: სანდრო ელვჯუა მალე მოჰკლა, ერთი ვაშკაცოა კიდევ ჩააღენინო. თხოვნა შევესრულა და მთელი ახალი ფელეტონები მოგვცაო. მეორე: ზანდუკელი რომ ამბობს: დიბეტილი სხვა არის და ხელნაწერში სხვაო. რუსიშვილი ამბობს, ერთხელ მთელი აწყობილი სვეტი ჩემთან წაშალა, ახლად დასწერა და მე ხელმეორედ ავაწყე. ხშირათ, რომ შვიი სხვა, თეთრად გადაწერილი კი სულ სხვაა. გადაწერის დროს მწერალი ასწრებს სტილს, აშაღაშინებს, უმატებს, ასე რომ ხელნაწერში და დაბეჭდილში განსხვავება ხდება. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ სხვა და სხვა მწერლისაა.

სიხიკო მელიქიშვილი.

ს ა ნ ა ტ ო ლ უ რ ა ნ ს ი

დაბადებიდან 80 წლის უმსრულეზის ბაშო

ცოცხალთა შორის მას ვერვინ
სჯობნის: იგი კალმის ბატონია.

გეორგ ბრანდესი.

ჩემოვი ამბობდა: ბოლოს და ბოლოს მწერლისთვის ერთი ამოცანა შეადგენს ყველაფერს—ეს „მაგრამ“-ის გადალახვა. ხშირად კითხულობ და ხედავ: მხატვრულია, მაგრამ არც კუჭა და არც კეთილშობილება შიგ არაა, ან კეთილშობილებითაა სავსე, მაგრამ მხატვრობას და კუჭას მოკლებულია... და ასე მრავალ ვარიაციებით.

როდესაც ჩაუფიქრებდი ანატოლ ფრანსის ჯადოქარ ძალას, მახსენდება ესთეტიკა. მართლაც შეუძლებელია, რომ გამოიძებნოს ვინმე, ვინც უარჰყვის მისი „კუჭა, მხატვრობა და კეთილშობილება.“

მაგრამ ფრანსის მიმართ—ეს ცოტაა. თუ დღეს საყოველთაო გადაიქცა აზრი იმის შესახებ, რომ ყველაზე დიდი მხატვრული გენიოსი ევროპაში არის ტოლსტოი და ყველაზე ჭკვიანი მწერალი ფრანსი, მაშინ ცოტა იქნება მარტო იმის თქმა, რომ იგი ჭკვიანად სწერს. თუ სტილის დახვეწის და სილამაზის მხრივ ფრანსი არა ჰყავს მეტოქე დღევანდელ მსოფლიოში, მაშინ ცოტაა იმის თქმა, რომ იგი მხატვრულად სწერს. და თუ დღეს როდესაც თავის 80 წლის სიმაღლიდან, ფრანს არ სჭირდება ფრაზეები და პოზა, იგი თავის მსოფლიო სახელებს უერთებს ისეთ მსოფლიოს შემქნელთა სახელებს, სადაც არაა ტანჯვა და სიღატაკე—მას ვერ ვერტყვით უარს მაღალკეთილშობილებათაზე.

ამიტომბაა რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: ფრანსი თავის შემოქმედებაში არის ჭკუის, სილამაზის და ადამიანობის მწვერვალი.

* *

წიგნის ფანატისკი, ანატოლ ფრანსი დაიბადა წიგნებს შორის—მაშა მისი ბუკინისტრი იყო. ის მიკროძალბა,

რომლითაც იგი მიეღ თავის სიცოცხლეში ეკიდება წიგნებს, შუზრდილი აქვს მას სიყრბიდან. იგი საშუალოდ დაუმეგობრდა იმ ძველ წიგნების გამყიდველებს, თავის ყუთებზე დახაკად რომ გაშლიდა სენის სანაპიროს. მეტად უჩვეულო სილამაზითაა სავსე ფრანსის იშვიათ წიგნებისადმი ტრფიალი. ამ თითქმის რელიგიურ მოკრძალებადში სილამაზის, აზრის და გარდასულ ცხოვრების საჭურჭლის წინაშე—ამ ტრფიალში არის უდიდესი სიმაღლე, რომელსაც ფლომს ადამიანი.

როდესაც ჩვენ ვაგივებთ, რომ თავის პირველ ყმაწვილობაში ფრანსი ჩვეულებრივ თამაშით ვართობის მაგიერ, გატაცებული იყო ძველ თავისებურათ დასურათებულ წიგნთა გადაფურცვლით, ჩვენ აღარ გავგვიკრძებათ თუ იგი 15 წლისა გამოსცემს თავის პირველ თხზულებას „ლევენდის წმინდა რადეონდაზე“ (1856). გამოცემულ ლემერისათვის იგი რედაქტორობდა ძველ პარანსის ლირიკოსებს, რომელთა გავლენის ქვეშ მან დასწერა თავისი ლექსთა პირველი წიგნები—„ოქროს პოემები“ (1873 წ.) და „კორინთული ქოჩოლი“ (1876 წ.).

ამათ მოჰყვა მისი პირველი რომანი „იოკოსტა“ და მოთხრობები (1879 წ.) ეს პროზაული ნაწარმოები ჯერ არც თემით და არც ფორმით არ ირჩევინან, თუმცა მათში უკვე არის კვლი იმ სტილისა, რომელმაც შემდეგში ესოდენი ძალა მისცა ფრანსს.

1881 წელს ფრანსი სცემს წიგნს, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო მისკენ და დააჯილდოვა იგი საფრანგეთის აკადემიის დაფნის გვირგვინით. მის რომანში „სილვესტრ ბონარის ბოროტმქმედება“ პირველად იჩინა თავი ფრანსის მომავალ ნაწერებს ძირითად-




მა სულმა—აზრის უხემა შემოქმედებამ, საერთო განწყობილების ღრმა აღმინაობამ, ფრანხის სილამაზემ და ხელოვნების ფანატურმა კულტმა. მკითხველი აქ მეცნიერ სილვესტრ ბონარის ამამალებელ იდეათა და გრძობათა ატმოსფეროში ცხოვრობს. ბონარი ანტიურ მოაზროვნებს მოგვაგონებს, ვისი სულიერი კეთილშობილება რეალურ ქვეყნის უხემ არსებას ეჯახება. ბონარი თითქმის წინამორბედი ხდება მსოფილო ლიტერატურის უდიდეს ფიგურის—ბერტერესს.

ფრანსის შემდეგი წიგნები: „რან სერვიენის სურვილები“ (1882 წ.); აბილი (1883 წ.); „ჩემი მეგობრის წიგნი“ (1885 წ. ავტორის ცხოვრებიდან); „ჩემი ბავშვები“ (1886 წ.—თუმცა თემით არ არიან შესანიშნავი, მაგრამ მათ მიჰყავთ ფრანსის სტილი უღრმეს დახვეწამდე. ეს პატარა ნაწარმოებები იძლევიან იმ საკვირველ ფორმას პროზისას, რომელიც სრულიად განცალკავებული სტვას ფრანგულ ლიტერატურის ესოდენ მდიდარ სიტყვიერ ხე-

გვაძლევს მხატვრულ მოვლენათა მიერ მასში გამოწვეულ საკუთარ გამოხახილს. ამ წერილში ადგილი აქვს მოგონებებს პირადი ცხოვრებიდან, სხვა და სხვა დროის ხელოვნების მონათესავე მოვლენების გადმოცემას, მოთხრობას ისეთ ფაქტებისას, რომელთაც თითქოს შორეული დამოკიდებულება აქვთ წერილების შინაარსთან. ისინი თავისუფალია სისტემისა და დაწესებულ ფორმისაგან. მაგრამ ის საერთო სულიერი შედეგი, რომელსაც იღებს მკითხველი ამ კრიტიკულ კომპოზიციებისაგან იმდენად უხვია, ახალი და გამსჭვირვალე, რომ ფრანსის კრიტიკულ ნაწარმოებთა საიპოვიზაციო ხასიათმა დააწესეს მხატვრულ გამოკვლევათა ახალი ნიშნუში. შემდეგში ეს კრიტიკული გამოხახილი მან შეკრიბა თავის „ლიტერატურულ“ ცხოვრების (1889—92 წ.) ოთხ ტომში.

ფრანსს ბავშვობიდან უყვარდა კაცობრიობის წარსული. შემდეგში იგი სულიერად ცხოვრობდა ისტორიით

ძველი ტფილისი



თათრის მოედანი ნახ. ა. ჭუთათელაძის

ლოვნების დარგში. ვილაცას სწორ შენიშვნით, ფრანსის სტილი აქ იმ ძვირფას ფაიფურის მზგავსია, რომლის სილამაზე მხატვრის საიდუმლოს შეადგენს. ჩამოსხმულ ნაწარმოებს შეუძლია სრულიად ასეთივე ფორმა გადმოგვცეს, მაგრამ ქემწარიტი მცოდნე საგნისა ნითვის უხედვისთანავე იტყვის, რომ იგი განსხვავებულ მასალიდანაა. სწორედ ამ პერიოდში სთქვა ფრანსმა: „მეცნიერი ლექსი უფრო ძვირფასი მიძღვნა ქვეყნისთვის ვიდრე მეტალურგიის ყველა გამოგონება“—ო. მაგრამ ფრანსის შემოქმედების ბედი სხვა თავისებებაც უქადა მომავალში: უფრო გვიან, როგორც ჩვენ ამას მალე დაეინახავთ, იგი უფრო ფართო შეიქმნა.

1885 წლიდან ფრანსი, თოლ კლარეტის მივიერ, სწერს ლიტერატურულ—კრიტიკულ წერილებს. მათში მოსჩანს მისი აზროვნების თავისებურობა, რომელიც თანდათან სულიერ თავისებურებად გადაიქცევა. მიჰყვება რა თავის რწმენას, რომ კრიტიკიკის ბოლის და ბოლის ყოველივეს სწერს თავისას სხვისი შემოქმედების გამო, რომ კრიტიკული ობიექტივებში ილიუზიაა, ფრანსი აქ

მისგან რჩეულ შესანიშნავ ეპოქებში. ერთდროს იგი ისტორიკოსობისათვის ემზადებოდა. მაგრამ მალე იგი რწმუნდება, რომ მისი სული ვერ ეტყევა ფორმალურ დისციპლინაში, ისე როგორც კრიტიკის მიმართ; ეხლა ისტორიის მიმართაც მან თავისი საკუთარი პოზიკია დაიკავა. ისტორიის ფორმალურ ცოდნას მან ამაჯობინა მისი გარკვევა მხატვრულ იდეოლოგიური გზით. ერთ ალაგას ფრანსი ამბობს განთქმულ მეცნიერის შესახებ: „მან სერიოზულ გამოკვლევაში აღწერა ეგვიპტურ სარკის ხელი და არც ერთხელ არ დამდაბლდა იმისთვის, რომ სერთო დასკვნები მოეყოლა“. მეცნიერისთვის ეს უდიდესი ქება იქნებოდა. ფრანსის თქმით კი—ირონიაა.

ისტორიის შემეცნების გზა, რომელიც მოაქვს ფრანსსა არის გზა ფართო მეცნიერულ—მხატვრულ სინტეზისა, გამოხატვის უმთავრეს საშუალებათა ღრმა ცოდნით შეიარაღებული. მისგან შექმნილ სახეებში მან მოგვცა მთლიან ეპოქათა სინტეტური შემეცნება. მეტად რთული და სულიერ გზით მომქმედი ეს სახეები ვაკილებით უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევენ. ვარდასულ ეპოქებზე, ვიდრე პრო-

ფესიონალური გამოკვლევა. ასეთები საბერძნეთის და რომის სახე წიგნში „თეთრ ქვაზე“, ადრინდელ ქრისტიანობის სახეები „თაისში“ და „წმ. კლარას წყაროში“, სახეები „პონტოს პოლატეში“, ეგრემ კუანიარ ანკეტრისის სახე, სახეები „ღმერთთა წყურბლში“ და მრავალი სხვები. განიკვეთა რა სიკრძალოდ ძველ რომაულ ბერძნულ სამყაროს ის, როგორც თავის სფეროს, ფრანსი ვადაიბანს თავის ქვეყნებში იმ უკვადებებს, რომლითაც მოკუწლია შეყენებლად და საუქუნეობი სილამაზით და სილიაით 1889 წელს იგი ევლობა ამ წარსულში, რომ მიიგვეს „ბალტაზარ“ (1889 წ.); „თაის“ (1890 წ.), „კლიო“ (1890 წ.); „ეგრემ კუანიარ“ (1893 წ.); „დღოდალი პედოკი (1893 წ.) და სხვ.

ეს ისტორიული სურათები და სახეები შეუდარებელად გადმოცემულია ეპოქათა სულის და ენის სიხვედრით. მაგრამ მათი ზრებულად არ ამოიწურება მარტო მხატვრული თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ მას, რაც მხოლოდ პირადად ფრანს ეკუთვნის.

არის განსაკუთრებული რიგი ირონიისა. ეს არის ის თანამედროვე ცოდნა საგნისა, რომელიც ნების იძლევა ბრწყინვალედ გამოაშკარავო მოვლენის ყველა მხარე ხან ერთის თვალსაზრისით და ხან მეორეთი.—ასეთია ფრანსის ისტორიული ირონია. იგი ძლიესა სწანს და ხშირად მას გაიკეთებ მთელ წიგნის წაკითხვის შემდეგ. ავტორისათვის სრულიად უცხო სახეობა ვარდაცმა იმდენად დილია, შესაძლოა რომ, მაგ., ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მოკრძალებით შეითვისებს კათოლიკი—ბერი ადარჟლის ღმობით მასმევე თავის აზრის დადასტურებას პპონებს ატენისტი.

ისტორიულ მოთხრობათა შორის არიან ისეთი შედეგები, რომელიც გაცილებით მეტს მაგკელებს, ვიდრე გამოკვლევათა ტომები: ასეთია; მაგ., „პონტონის პოლატე“, სადაც რამოდენიმე გვერდზე გადაშლილია ქრისტეს ლეგენდის ბუნებრივი ხასიათი პირველ საუქუნის რომაულ ცხოვრების ქემმარტო სურათის წინაშე. ან „ღვთის მშობლის ტიკინი“ რომელიც არა ჩვეულებრივის სიმამფრთხი იძლევა ქემმარტო რწმენის მთელ სილამაზეს და ძალას.

მაგრამ ფრანსის მხატვრულ-ისტორიულ გადმოცემის ტრიუმფი და მისი ირონიული სტიქიის მწვერვალია, რასაკერაოდა, მისი „დღოდალი პედოკი“. აქ უმაღლრეს ჭკუა-მახველობის სადოსტაქროდანის ქვეშ მოხვედნიან რილიკია, ხელისუფლება, ფილოსოფია და მეცნიერება. ეს ის წიგნია, სადაც ბრძენი ავტორი გულუკელიდ დასკენის არა თუ მსოფლიოს, თვით მკითხველსაც, მაგრამ მის და შეუმწინვლად.

აქ, ეგრემ კუანიარის სახით, შექმნილია მე-18 საუკუნის დასაწყისის ქრისტიანულ მსოფლმხედველობის ხატება. ესაა არა მარტო მკვეთრი განსახიერება საუქუნეთა განმავლობაში უძლიერეს კათოლიკურ სულისა; კუანიარი დამაინანს ჭკუის უსაზღვრო მოქნილობის დიდებული სახეა, ფილოსოფიურ გრაციით და განვითარებულ დიალექტიკით რომ არიგებს შეურჩევებელ ვიგანტურ წინააღმდეგობას. ამ რიგად იგი სასტიკი სატირაა არა მარტო მოწმუნებობის, თვით დამაინანს წინად აღებულ შემცენებით შემოფარვლად აზროვნებისს.

რომანი ისეა დაწერილი თითქოს იგი მართლაც წი-

ნა საუქუნის ძველბურთი ხელთნაწერია. მკითხველი ხედავს მასში პატარა ჭქრის მოსახლობის ყოფა-ცხოვრებას, პატარა ადამიანებს, მათი ჭირ-ვარამით და ლაპარაკით. იგი ხედავს ცოცხალ ფიგურებში ჩამოსხმულ მეტად დამახასიათებელ ხაზებს ეპოქისა—ბერს, რომელიც გულწრფელ რწმენით ცხოვრობს; მიკტიანს, სპეციფიური ენით, მის სტუმართა მოყვარე ხელმობთ და ძველბურთი ოჯახურ ადათით; ალკიმიკოსს, რომელიც ასახიერებს კაცობრიობის მეცნიერების მთელ ეპოქას: აზნაურს, რომელიც ფეოდალურ სულის მთავარ სახეს წარმოადგენს, ემსახურება თავის მეფეს და ამის გამო სტკებდა ცხოვრებით.

მთლიათ აღებული „დღოდალი პედოკი“ არა თუ ერთი უმწვენიარესი წიგნია მსოფლიო ლიტერატურისათა თავის მილიანობით და სიმწვენიერით, არამედ იგი იმავე დროს განსაკუთრებულად მძაფრე ჭკუის იარაღია, რომელიც ვიგანტებს ადამიანთა საზოგადოების საფუძვლის დაფარვლად კიმეკურ მხარეს.

